საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 მარტი, 2014 წელი.

№44 (7425)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.

„დიდი სიცილი და შექცევა ქართველთა დიდთა და მცირეთა“ ③



მაიდნიდან ხალხი სწორედ საკაშვილისნაირ ⑤ ბანდიტებს ერეკებოდა!

რამდენს „აიკიდებდა“ მერაბიშვილი, ⑨ მისი დროინდელი კანონებით რომ გაესამართლებინათ?

როგორ მივითვისოთ ⑦ მილიონები დაუსჯელად...

გახდება ყირიმი აფხაზეთი-2? ⑥

⑩ ჯვაროსანთა ნაკრები – ევროპის 12 საუკეთესოში

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოში შტეფან ფულე ჩამოვიდა

გუშინ საქართველოს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ფულე საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, მთავრობის წევრებთან, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს.

ევროკომისარი ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების უმთავრეს საკითხებზე, კერძოდ, ასოცირების შეთანხმებასა და მის შემადგენელ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე ისაუბრებს.

ევროკომისარი და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი საჯარო ფინანსების რეფორმის მხარდაჭერის შესახებ მემორანდუმს მოაწერენ ხელს, ხოლო შტეფან ფულე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს გააფორმებენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის უმაღლეს კომისარს გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პირისპირ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

* * *

გუშინ საქართველოს პრემიერმა მადლობა გადაუხადა შტეფან ფულეს ვიზიტისთვის, რაც, მისი თქმით, კიდევ ერთი დადასტურებაა ევროინტეგრაციის პროცესებში ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერისა საქართველოსადმი“, — აცხადებენ პრემიერის პრესსამსახურში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პერსპექტივებსაც. გარდა ამისა, მხარეებმა რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის უკრაინის კრიზისზე ისაუბრეს.

ამის შემდეგ შტეფან ფულემ და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

„ჩვენს წინ არსებული ამოცანები ნამდვილად არ არის ადვილი, კარგად გვესმის იმ ზეწოლისა, რომელიც უკრაინაზე ხორციელდება იმის გამო, რომ მან სურვილი გამოთქვა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. ჩვენ ასევე გვესმის, რომ აღნიშნული ზეწოლა სხვაგანაც არსებობს — ევროკავშირი მტკიცედ იდგება საქართველოს გვერდით ასეთი ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში“, — განაცხადა ევროკომისარმა პრესკონფერენციაზე.

ამასთან, შტეფან ფულეს თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა გუშინ მკაფიოდ გააჟღერეს, რომ თუკი რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს გააგრძელებს, ევროკავშირის მხრიდან მიღებულ იქნება „წერტილოვანი ზომები“.

შტეფან ფულე საქართველოს პატრიარქსაც ეწვია. შეხვედრამდე მან განაცხადა:

— „მე დღეს ვხვდები საქართველოს პატრიარქს. მე დავარწმუნებ მას ევროკავშირის სახელით, რომ ჩვენ არავითარი განზრახვა საქართველოს ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ არ გაგვაჩნია. რასაც მხარს ვუჭერთ, გახლავთ საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებები: ტოლერანტობა, ღირსება და პატივისცემა“.

2005 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტები გამჭვირვალე არ იყო

ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლიდან იტყობინებიან, 2005-2012 წლებში მაუწყებელში არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე განცხადება გააკეთა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილემ ფინანსების დარგში კახა სონიშვილმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში ადასტურებს, რომ 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მილიონ ლარამდე ღირებულების სარეკლამო დრო იყიდა, თანხა პარტიამ სრულად მხოლოდ 2011 წელს დაფარა.

ბუნდოვანია ხარჯები, ისეთი როგორიცაა: ავტომობილებით მომსახურების შესახებ გაფორმებული კონტრაქტი (მომსახურების ღირებულება შეადგენდა 2 მლნ. ლარს).

ტელეკომპანია „პიკისთვის“ განკუთვნილი ბიუჯეტი, საიდანაც კომპანიის დირექტორს, ბ-ნ რობერტ პარსონსს ხელფასის სახით, წინმსწრებად ერიცხებოდა 15 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარში. გარდა ამისა, ყოველთვიურად, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის სოლიდური თანხები ირიცხებოდა მენეჯმენტის სახელზე არსებულ ბიზნეს ბარათებზე; ათასობით ლარია გახარჯული არამიზნობრივ ტრენინგებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში ადასტურებს, რომ 2010 წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსისთვის გაიხარჯა 2 მილიონ ლარამდე, მაშინ როცა 2013 წელს ევროვიზიის ხარჯმა 250 ათასი ლარი შეადგინა.

„გასული წლების განმავლობაში 2005 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტები არ იყო გამჭვირვალე. ბიუჯეტები არ არის გაწერილი თვეების მიხედვით. წლების განმავლობაში დაგროვებული სხვადასხვა ტიპის დავალიანების, არამიზნობრივი ხარჯებისა და ბუნდოვანი ბიუჯეტების მიუხედავად, სამეურვეო საბჭოს, რომელიც თავად განსაზღვრავს მაუწყებლის ბიუჯეტის პრიორიტეტებს, პრეტენზია გენერალურ დირექტორებთან არ ჰქონია“, — ნათქვამია მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციაში.

უკრაინის მოვლენებმა შეიძლება ხორბალი გააძვიროს

თუ უკრაინაში დაძაბულობა დიდხანს გაგრძელდა, ხორბალი და სიმინდი გაძვირდება, — ამის შესახებ სატრეიდერო კომპანია „აგრიკომის“ დამფუძნებელმა კოკი ოსიპოვმა განაცხადა.

მისი თქმით, არეულობის გამო უკრაინაში საგაზაფხულო სამუშაოები, სავარაუდოდ, შეფერხებით ჩაივლის: ქვეყანაში სარისკო საინვესტიციო გარემოა — ის სამოქალაქო ომისა და დეფოლტის წინაშე დგას, ბანკებს კი ასეთ ვითარებაში სექტორის დაკრედიტება გაუჭირდებათ. ამასთან, აგროვადების დაცვას მოსავლიანობაზე უდიდესი გავლენა აქვს.

— მართალია, ამ ეტაპზე, სასურსათო ხორბალი საქართველოში, ძირითადად, რუსეთიდან შემოდის, სამაგიეროდ, საფურაჟე ხორბლისა და სიმინდის მიმართულებით, ჩვენი ძირითადი მომწოდებელი უკრაინაა. გარდა ამისა, უკრაინა შავი ზღვის რეგიონში ხორბლის ბაზარზე ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა და ფასების დაწესებაში სერიოზულ როლს თამაშობს, — აღნიშნა ოსიპოვმა.

მისი თქმით, შექმნილი სიტუაციის გამო, ხორბლის მთავარმა იმპორტიორმა, რუსეთმა, მარცვლეული უკვე გააძვირა, თუმცა ნაწილობრივ, რუბლის გაუფასურების, ნაწილობრივ, გაზაფხულის დადგომისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების გამო, საქართველოს მარცვლეული, ჯერჯერობით, კვლავ სასურველ ფასად (280 დოლარი ტონაზე) მიეწოდება. თუმცა, თუ პოლიტიკური დაძაბულობა უკრაინაში სასწრაფოდ არ დარეგულირდება, კოკი ოსიპოვი ხორბლისა და სიმინდის მნიშვნელოვან გაძვირებას ვარაუდობს.

ამასთან, რუსეთ-უკრაინის კრიზისი მარცვლეულის საერთაშორისო ბაზრებზე უკვე აისახა. მაისის კონტრაქტები ხორბალზე 3,2%-ით გაძვირდა და ბუშელზე 4,78 დოლარი შეადგინა, 5,2%-ით მოიმატა სიმინდის ფასებმა, 6,33 დოლარამდე ბუშელზე. ექსპერტებს განსაკუთრებით აწუხებთ ყირიმში არსებული სიტუაცია, რომლის პორტები მარცვლეულის გადაზიდვებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

რუსეთი დოლარზე უარის თქმით იმუქრება

იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის სენატი რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს დააწესებს, ფედერაცია იძულებული გახდება, შექმნას თავისი ფულადი ანგარიშსწორების სისტემა და უარი თქვას დოლარზე, — ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მრჩეველმა სერგეი გლაზევმა განაცხადა.

— ძალიან კარგი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გვაქვს ჩვენს პარნტიორებთან აღმოსავლეთსა და სამხრეთში და მოვძებნით გზას, რომ არა მხოლოდ გავანულოთ ჩვენი ფინანსური დამოკიდებულება აშშ-ზე, არამედ ამ სანქციებს თავს დავაღწევთ ჩვენთვის ძალიან სარგებლიანად. მცდელობა, რუსეთის ფედერაციისათვის სანქციების დაწესებისა, დასრულდება კრახით აშშ-ის ფინანსური სისტემისათვის, რაც გამოიწვევს აშშ-ის მსოფლიო ფინანსურ სისტემაზე დომინირების დასასრულს, — განაცხადა გლაზევმა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სანქციები გამოყენებული იქნება რუსულ სამთავრობო სტრუქტურებთან მიმართებაში, რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდება, ფაქტობრივად შეუძლებლად სცნოს იმ კრედიტების დაბრუნება, რომლებიც რუსულ სტრუქტურებზე იქნა გაცემული აშშ-ის ბანკების მიერ.

— სანქციები ხომ ორმხრივად მოქმედი იარაღია და თუკი აშშ გაყინავს ჩვენს აქტივებს, ანალოგიურად, გაიყინება ჩვენი ორგანიზაციის პასივებიც დოლარში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ბანკები და ბიზნეს-დაწესებულებები არ დაუბრუნებენ სესხებს ამერიკულ ბანკებს,— განმარტა გლაზევმა.

ამასთან, მისი თქმით, თუკი ამერიკა გაყინავს რუსული ბიზნესებისა და მოქალაქეების ანგარიშებს, რუსეთის ხელისუფლების რეკომენდაცია მათდამი იქნება, რომ გაყიდონ აშშ-ის მთავრობის ობლიგაციები.

„ამერიკელები რუსეთს სანქციებით ემუქრებიან და ევროკავშირს ითრევენ რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო-ეკონომიკურ ომში. ამ სანქციებს შეიძლება მოჰყვეს შემდეგი სცენარი: ყველაზე მეტად რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით დაზარალდება თავად აშშ, რადგან თუ ვისაუბრებთ ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ჩვენ მათზე არანაირად არ ვართ დამოკიდებულები. ჩვენ გვაქვს სოლიდური სავალუტო რეზერვი - 200 მილიარდ დოლარზე მეტი და თუ აშშ გაბედავს და გამოიყენებს ჩვენს წინააღმდეგ სანქციებს რუსული ბიზნესებისა და რუსი მოქალაქეების ანგარიშების გაყინვის გზით, ჩვენ ვეღარ განვიხილავთ ამერიკას, როგორც საიმედო პარტნიორს. ამიტომ, რეკომენდაციას გავცემთ, რომ ყველამ უარი თქვას რეზერვებზე ამერიკულ დოლარში, უარი თქვას თავად დოლარზე, როგორც ვალუტაზე, რომელშიც ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები და გამოვიდნენ ამერიკული ბაზრიდან, — განაცხადა გლაზევმა.

დიდი ბრიტანეთი არ აპირებს, რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო და ფინანსურ სანქციებს შეუერთდეს

Guardian-ის ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის მთავრობა მუშაობს გეგმაზე, რომელიც საშუალებას მისცემს ლონდონის სითის, ევროკავშირის მიერ სანქციების შემოღების შემთხვევაში, რუსული ინვესტიციებისთვის ღია დარჩეს. თუმცა, დიდი ბრიტანეთი რუსი მაღალჩინოსნების მიმართ სავიზო სანქციების დაწესების წინააღმდეგი არ არის.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, ლონდონი სამხედრო მოქმედებების დაწყების წინააღმდეგი იქნება, მათ შორის ნატოს მხრიდან. ამის ნაცვლად, ბრიტანეთი მხარს უჭერს გაეროსა და ეუთოს დამკვირვებლების მისიას ყირიმში.

რუსეთი სამხედრო ძალას უკრაინაში უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებს

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„რაც შეეხება სამხედრო ძალების შეყვანას და მათ გამოყენებას, ჯერჯერობით ასეთი აუცილებლობა არ არის, თუმცა შესაძლებლობა არსებობს. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი წვრთნები, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა, არანაირად არ არის დაკავშირებული უკრაინის მოვლენებთან. ეს ღონისძიება ბევრად ადრე იყო დაგეგმილი, მართალია არ გამოცხადებულა არსად. გუშინ გავეცი ბრძანება ყველა სამხედრო შენაერთის მუდმივი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნების შესახებ. რა შეიძლება გახდეს სამხედრო ძალის გამოყენების მიზეზი? — ეს რა თქმა უნდა, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, — განაცხადა პუტინმა.

მისივე თქმით, რუსეთს აქვს უკრაინის ლეგიტიმური პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის თხოვნა სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ უკრაინის მოსახლეობის დასაცავად.

ინტერპრესი

„დიდი სიცილი და შექცევა ქართველთა დიდთა და მცირეთა“

იმ დღეს ტელეეკრანზე ერთი ჭკვიანურად სახედაწყობილი ბატონი სულ წვრილად გვიამბობდა, თუ რა მძიმე შეცდომა დაუშვა მეფე ერეკლემ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით, რა სივერაგე და უბედურება სწია რუსეთმა საქართველოს, გადაიყვანა განვითარების სწორი გზიდან და ბნელეთში დანთქა.

ეს აზრი ერთობ ფეხმოდგმულია და რაც უფრო ხშირად გამოდიან ჭკვიანურად სახედაწყობილი ბატონები ტელევიზიით, უფრო მეტად იდგამს ფეხს. ამიტომ კიდევ ერთხელ, ათასმეერთედ გავიმეორებ საქმეში ჩახედული ხალხის ნათქვამს: მაშინდელი არჩევანი მართლაც მძიმე, მაგრამ სწორი იყო, ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენდა რუსეთ-სპარსეთის პერსპექტივის პირობებში.

იმპერიის ისეთი მოძულე პატრიოტიც კი, როგორიც სოლომონ დოდაშვილი იყო, საქართველოს რუსეთთან შეერთებას უდავოდ პროგრესულ მოვლენად მიიჩნევდა **„მტკიცე მარჯვენა მეფისა** (იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I – **ა. ა.**) **ჰზრუნავს უშიშროებისთვის ჩვენისა, ყოველივე დაბრკოლებას აღხოცავს“.**

ამასვე ბრძანებდა დიდი ილია ცოტა მოგვიანებით.

მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან მზირალ მამულიშვილებს არა და არ სურთ დაინახონ, რომ მე-189 საუკუნის ბოლოს საქართველო მიწაზე გართხმული, სულთმობრძავი ავაზა იყო, რომელსაც ფეხზე წამოდგომის კი არა, თვალის გახელის ილაჯი აღარ ჰონდა.

ერთი დამახასიათებელი მაგალითი.

პლატონ იოსელიანი („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“) გვიამბობს: **„დროთა ამას ლეკთა აქვნდათ შეკრული ზედაძნისა მთა ტყიანი. მეფემან (გიორგი XII-ემ – ა. ა.) მოუწოდა ყიზიყელნი, რათა მიუხდნენ მუნ მთისა წვერსა და მოუშალონ მათ ბინა-სადგური. 300 კაცი და ქიზიყისა მოურავი ზაქარია ენდრონიკაშვილი წავიდნენ და იხილეს სიმაგრე მათი ციხესა და გალავანი კოშკიანსა ზედაძნისა ადრე გაუქმებულსა უდაბნოსა. სცნეს ესე ლეკთა 600 კაცთა მუნ მარადის დაბუდებულთა და გადმოუდგნენ ციხისა და გალავანისა კერძოთაგან. ქიზიყელთა ვაჟკაცთა ვერ გაბედეს მისვლა იერიშითა... სირცხვილეულნი უკუ-იქცნენ და წარვიდნენ თვის-თავისად. მაშინ შეწუხებულმა მეფემან ამოიოხრა და უბრძანა ზაალ გურამიშვილსა და მაყაშვილსა ოხვრითა: „მეუბნებიან, ნუ მოიშველებ რუსთაო“.**

არადა, ეს სიმაგრე, მთელი საუკუნე – 1710 წლიდან (ვახტანგ მეფის დროიდან) – 1817 წლამდე, სანამ რუსებმა არ ანახეს ძალა ლეკებს, კრაზანების ბუდეს წარმოადგენდა: აქედან გამოდიოდნენ ლეკები დაღესტნიდან, იტაცებდნენ ტყვეებს, გაითარეშებდნენ ქართლს და ახალციხეში გადადიოდნენ. უკანაც ამ გზით ბრუნდებოდნენ უშიშრად.

ქართლ-კახეთის მეფემ ვერ შეძლო თბილისის ყურში დაბუდებული ყაჩაღების გამოდევნა (როგორც მანამდე მამამისმა ერეკლე II-ემ) და თანამგზავრთ შესტირა, „მეუბნებიან, ნუ მოიშველებ რუსთაო“, ანუ ხომ ხედავთ, ურუსებოდ ჩვენი საშველი არ არისო.

მაგრამ მხოლოდ გარეშე მტერი როდი იყო მიზეზი ქვეყნის უძალობისა, მას შინაურმა აშლილობამ და ერთმანეთის ქიშპმაც არანაკლებად გამოაცალა ღონე.

სიკვდილამდე 4 დღით ადრე სულთმობრძავმა ერეკლე II-ემ დედოფალ დარეჯანის შეჩენით ხელი მოაწერა უგვანი ოსეფა ყორღანაშვილის მიერ შედგენილ ანდერძს, რომლის ძალითაც ჯერ უნდა ემეფა ერეკლეს პირმშო ძეს გიორგის, შემდეგ მის ძმას იულონს, შემდეგ – მირიანს, ვახტანგის, ალექსანდრეს, ფარნაოზს... შემდეგ მეფობის უფლება გადავიდოდა მეფე გიორგის შვილზე დავითზე, შემდეგ –იოანეზე, ბაგრატზე, თეიმურაზზე, მიხეილზე და სხვ. შემდეგ კი ისევ იულონის და მისი ძმების შვილთა ჯერი მოვიდოდა...

ამ ყოვლად რეგვნულმა ანდერძმა შფოთი გაამძაფრა ძმათა შორის („მამაჩემის ანდერძით ხომ უნდა ვიმეფო ოდესმე. მე ჩემი წილი ახლა მინდა ვიმეფო“. დარეჯანი და მისი შვილები ჩუმჩუმათობდნენ, სიტყვითა და საქმით ტეხდნენ შფოთსა და ამბოხს, ეურჩებოდნენ, გვირგვინოსან გერსა და ძმას.

შეჭირვებული გიორგი XII, რუსის ჯარის მოსვლამდე ქვეყნის დასამშვიდებლად რამე რომ ეღონა, იძულებული გახდა 3000 ლეკი დაექირავებინა და თბილისის მცველებად ჩაეყენებინა ავლაბარში და მეტეხის ხიდთან. ამ ლეკთა ბელადმა მურადმა, ვერ მოითმინა და გიორგის აცნობა, თქვენი ძმები ცდილობენ, თქვენს საღალატოდ მომისყიდონ მეცა და ჯარიცო.

გარდაიცვალა მეფე და ძმებმა სულ გაიგიჟეს თავები, იულონმა ძალით სცადა მეფედ კურთხევა, მერე ომარ ხანს და ლეკებს ეაჯებოდა, მომეშვიელეთო. სხვა უფლისწულებიც არანაკლებ უღირსად იქცეოდნენ. ერთი სიტყვით, ისედაც არეული ქვეყანა, სულ აირია.

აი, ასეთი ვითარება იყო მაშინ და რა გასაკვირია, რომ გიორგი XII-ც მიწას მიაბარეს თუ არა რუსთ ხელმწიფემ მიაფურთხა გეორგიევსკის ტრაქტატს, სადაც, სხვათა შორის, სამეფოს გაუქმებაზე არაფერი იყო ნათქვამი, და უბრალოდ მიიერთა ქართლ-კახეთი გუბერნიად.

ერთი სიტყვით, მტაცებელმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და მიიტაცა.

ახლა მოდით განვსაჯოთ ამ ტაციაობაში ვინ უფროა ბრალიანი – თავისი გაუმაძღრობით ოდითგან ცნობილი ჩრდილოელი მეზობელი თუ ქვეყნის „ელიტა“, სადაც ერეკლეს ქვრივი დარეჯანიც კი იხერხებოდა ხელმწიფობის ნდომით („მე მინდა მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში“).

მოკლედ, რაც უნდა დავფეროთ მე-18 საუკუნე შარავანდედით, ვარაყიდან სიბილწე და ღალატი ჩნდება, თანაც იქვე ერთი თავზარდამცემი რამეც იკვეთება: **„დიდი იყო აღრეულობა დროთა ამათ ამბოხისა და შფოთთა და ამასთანავე დიდი სიცილი და შექცევა ქართველთა დიდთა და მცირეთა** (?! – **ა. ა.**).

ამდენი ამბოხის, შფოთის და სახელმწიფოს დაკარგვის შემხედვარეთ რა აცინებდათ და ალაღებდათ ქართველებს – მსხვილფეხა რქოსნებსაც და წვრილფეხობასაც?

იმიტომ, რომ **„რუსთა მთავრობა და წესი მათი დაშთა იმედად!“**

სხვისი მოიმედენი ვიყავით მაშინაც და ვართ დღესაც.

როცა ქვეყანა დალაგებული, საკუთარი მარჯვენისა და ხმლის იმედად იყო, დიდგორს იგებდა, როცა სათავემორღვეული გათითოკაცდებოდა, ზედაზნიდან 600 მოძალადის გამოძევებას ვერ ახერხებდა.

არა, ჭკვიანურად სახედაწყობილო ბატონო, ერეკლეს მძიმე შეცდომა არ მოსვლია, გეორგიევსკის ტრაქტატი ქვეყნის უილაჯობის გამოწვილვითი ანალიზის შედეგი იყო. რაც ქმნა, ნაკლები ბოროტების პრინციპს ეფუძნებოდა. მოგვწონს თუ არა ეს დღეს, 21-ე საუკუნეში, ასე იყო, რამდენმა ჭკვიანურად სახედაწყობილმა ბატონმა არ უნდა აადინოს ბოლო ტელეეკრანს გმირულ-ჰეროიკული ხანძრით.

რაც შეეხება იმას, რომ რუსეთმა მიტაცებული საქართველო ააცილა განვითარების გზას და წყვდიადში შთანთქა, უბრალოდ დაუნახაობა, უმადურობა და სიბრიყვეა.

სწორედ რუსეთმა გამოიყვანა საქართველო განათლების ნათელში. ამასთან 2 სამეფოდ და 4 ლამის დამოუკიდებელ სამთავროდ დაყოფილი ქვეყანა ეთნიკურად გამთლიანებულ ერთეულად აქცია, რომლისგანაც შემდეგში საქართველოს სახელმწიფო ამოიზარდა და, რაც მთავარია, მას დაუბრუნა საუკუნეების წინათ დაკარგულ-ჩამოცილებული მესხეთი, ჯავახეთი, აჭარა...

თვალებზე ლიბრი უნდა გქონდეს გადაკრული, ეს რომ არ დაინახო. კი, გეთანხმებით, ორთავა არწივმა რაც გააკეთა, ისევ თავისთვის, იმპერიისთვის გააკეთა, მაგრამ ბოლოს ხომ, ობიექტურად, ჩვენთვის გაკეთებული გამოვიდა.

მაგრამ ბევრი ჯიუტად ვერ ხედავს დასანახს. პირველ არხზე იმ დღეს ერთ-ერთი „ჭ“ პარტიის წარმომადგენელმა უაპელაციო ჭეშმარიტებად გვაცნობა, რუსები განუვითარებელნი არიან, საუკუნეებით ჩამორჩებიან დღევანდელობის დონეს, ჩვენ კი განვითარებული ხალხი ვართ, ამიტომ გვიჭირს მათთან ლაპარაკიო.

მთავარი ის კი არ არის, რომ ამ ცოდნით გაძეძგილმა, რომელიღაც პარტის ფუნქციონერმა სისულელე, უფრო ზუსტად მავნე სისულელე დაახეთქა, არამედ ის, რომ დარბაზში მყოფთაგან, (არადა იქ უხვად ისხდნენ ანგარიშგასაწევი გვამნი: პოლიტიკოსები, (არასამთავრობოები, სტუდენტები), არავინ უთხრა, უკადრის კადრულობო, უფრო მორგებულადაც შეიძლებოდა შეძახება, სისულელეს ჩმახავო.

გაუჩუმდნენ და იმანაც დაიჯერა, თავანკარა სიბრძნე ვთქვიო.

რამდენ ასეთ თავანკარა სიბრიყვეს ვისმენთ ყოველდღიურად!..

რომ ვუკვირდები, კაცობრიობა მართლაც ციკლურ-სპირალურად ვითარდება. ადამიანი იცვლება, წინ მიდის განათლებით, კულტურით, ყოფით, მაგრამ შინაგანი ბუნება ძნელად ეცვლება. ორ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ დიდი საფრთხის წინაშე მდგარი ქართველები დიდნიცა და მცირედნიც მაინც დიდი სიცილითა და შექცევით ხვდებიან ამ საფრთხეს თითქოს ორი საუკუნე არც ყოფილიყოს.

ამჟამად, როდესაც უკრაინაში, საიდანაც იღებს სათავეს თვით რუსი ხალხი და რუსთა სახელმწიფოც, ყველაფერი წკიპზეა შემდგარი და დღე-დღეზე შეიძლება სლავები ომით შეებან ერთმანეთს, ძნელი სავარაუდოა როდია, რომ იქაური გამოძახილი შეიძლება საქართველოს ცუდად გადმოსწვდეს.

ეს ჩვენი „პოლიტიკური ელიტა“ კი ერთმანეთს დასაგლეჯად ეტანება, იმის ნაცვლად, რომ ჭკუა თუნდაც ძაღლებისგან ისწავლოს, მგლის გამორჩენაზე ქიშპს რომ წყვეტენ და მხარს უბამენ ერთმანეთს, უფრო დაირივნენ, ლამის დაჭამონ სხვაგვარად მოფიქრალნი („მე ჩემი წილი ახლა მინდა ვიმეფოო!“).

არ არის მშვიდობა პარლამენტში, საკრებულოებში, ოჯახებშიც კი ან სხვაგვარად როგორ იქნება; ქმარი გაქანებული ოცნებისტია, ცოლი დაჯერებული ნაციშვილი კი – სულაც თავზეხელაღებული ნათელაშვილისტი... და არის სახლში ყოველდღე, როგორც იტყვიან, ღრენაი და კბენაი.

ჩვენი „პოლიტიკოსები“, რომლებიც თავისი განვითარებით თურმე მთელი საუკუნეებით უსწრებენ რუსებს, საქმე საქმეზე რომ მიდგეს (არადა, სრულიად შესაძლებელია, რომ მიდგეს) კიდევ ერთხელ გადაჩეხავენ ქვეყანას უფსკრულში, როგორც გადაჩეხეს 1991, 1992, 2008 წლებში, თანაც ისე გადაჩეხავენ, რომ ქვეყანა შეიძლება ვეღარ ამოვიდეს, ან თუ მაინც ამოვა, მხოლოდ განახევრებული, მხოლოდ დალეწილი, რომლის რეანიმაციასაც ათწლეულები დასჭირდება.

ეს წერილი ერთი ჭკუისასწავლი მაგალითით მინდა დავასრულო ისევ იმ მე-18 საუკუნის მიწურულიდან. 1789 წელს იმერეთში სოლომონ II-ის გამეფებასთან დაკავშირებით ატეხილ შფოთსა და მათხოჯის ომში ერეკლე მეორემ პაატა ჭავჭავაძის სარდლობით 900 ლეკი მიაშველა შვილიშვილს (დავით არჩილის ძეს, ტახტზე სოლომონ II სახელით ასულს). კი მიეშველნენ, მაგრამ ლეკებმა ააოხრეს იმერეთი. ეს დიდად იწყინეს იმერლებმა და როცა კრწანისთან გამარჯვებულმა სპარსელებმა თბილისი აიღეს, ორიათასიანმა იმერთა მაშველმა ჯარმა სამაგიერო გადაუხადა „ქართველებს“ – თბილისი გაძარცვა.

აი ასე, ჯერ ამერებმა – იმერებს, მერე კი იმერებმა ამერებს სიგლახე სიგლახით გადაუხადეს და ყელგამოჭრილ ქვეყანას თვითონაც გამოუსვეს დანა.

ისიც გვახსოვს, ალყაშემორტყმული სოხუმიდან სულმნათი ჟიული შარტავა ტელეფონით ამაოდ რომ ეხვეწებოდა „პოლკოვნიკ“ ელიავას, მოგვეშველეთო. ის კი რაღაც პოლიტიკურ პირობებს აყენებდა და სოხუმის დაცემას იმანაც ერთი ქვა მიაგდო.

ყველაფერმა ამან (აფხაზეთის ომზე მოგახსენებთ), ერთი ის კი გააკეთა, რომ ომის შემდეგ რაღაც აღარ გამიგია ამაყი სიმღერა „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“.

ოღონდ, ახლა იმით ვიიმედებთ თავს, რომ ჩვენ ბევრად განვითარებული ხალხი ვართ, ვიდრე ჩამორჩენილი რუსები! ჰოდა, ვილხენთ და შევექცევით დიდნიც და მცირენიც, რადგან ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია!

სულ ვტრაბახობდით, ქართველი სხვაგან ვერ, მხოლოდ საქართველოში თუ იცხოვრებსო, იმათ ბოზი ქალები ჰყავთ, ჩვენს ქალს კი კანზე სადაც შეხედავ, ის ადგილი გაუწითლდებაო (გრ. რობაქიძე), ისინი ცვედნები და მამთამავლები არიან, ჩვენ კი – აუჰ!..

გვიწია სხვათა კილვამ, დღეს მილიონ ნახევარი ქართველია მოდებული ქვეყნიერების ოთხივ კუთხეს და კიდევ ერთი ამდენი ზურგჩანთაზე ზის: ჩვენი ქალების რიგები დგას თურქეთის საროსკიპოებში, გამოყრიან ამ ფეხებაშვერილ ძუკნებს და მირიადი სხვა აწყდება უცხოთა საზღვრებს. მშობლიურმა პედერასტებმა კიდევ, ჯერ ხომ თავი აიშვეს და სააშკარაოზე გამოფინეს უკანალები, ახლა ყოველი 17 მაისი გულსახეთქი გაგვიხადეს, ბილწი დემონსტრაციებით გვიბილწავენ პროსპექტებსა და მოედნებს.

ისე რომ, ჩემო შალიკო, სხვის თვალში ბეწვის ძებნას, სჯობს საკუთარი თვალიდან დირე ამოიღო, ფხიზლად გადახედო ყველაფერს და დაშოშმინდე – სხვაზე არც არაფრით უკეთესი ხარ და არც არაფრით უარესი.

ერთადერთი იმედი და საშველი დაგვრჩენია, კბილი კბილს დავაჭიროთ, ერთმანეთს ხელი ჩავჭიდოთ და ფხიზლად შევხვდეთ მტერსაც და მოყვარესაც. ოღონდ კარგად გამოვარჩიოთ მჭადიდან ნახშირი – გავერკვეთ ვინ მართლა მტერია და ვინ მართლა მოყვარე.

ალეკო ასლანიშვილი

◎ ენერგოუსაფრთხოება

ემზარ ჯგერენაია:

თუ ხუდონის პროექტი ჩავარდა, სხვა დიდ პროექტებსაც პრობლემა შეექმნება

რუსეთის სახელმწიფოს ახალ ენერგოდოქტრინაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უახლოეს წლებში განვითარებული ქვეყნების ბაზრის მოცულობა შემცირდება. ამიტომაც ამის ფონზე უნდა მოხდეს რუსეთის ენერგომატარებლებზე განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულების გაზრდა. ეს კი ქვეყანას საშუალებას მისცემს, უფრო გააქტიუროს საკუთარი პოლიტიკისა და გავლენების გამოყენება...

რუსეთის ახალმა დოქტრინამ შეაშფოთა ქართველ ექსპერტთა ნაწილი, რომელთაც სავალდებულოდ მიიჩნიეს ამ საკითხთან დაკავშირებით ბრიფინგის გამართვა და საზოგადოებისთვის იმის ახსნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის ენერგოდამოუკიდებლობას.

ექსპერტ **ემზარ ჯგერენაიას** უკვირს, რომ ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებული შეხედულებები ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრის ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებით. **„რაც მეტ ნაბიჯს გადავდგამთ ევროკავშირისა და ნატოსკენ, მით მეტად შეგვიქმნის რუსეთი პრობლემებს. თუ ხუდონის პროექტი არ განხორციელდა, ყველა დიდ პროექტს შეექმნება პრობლემა. ამიტომაც მთავარია, მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაცია. სპეკულირებენ ბუნების დაცვის თვალსაზრისით და ძალიან ცუდ ფონს ქმნიან. მეტიც, არასამთავრობო სექტორის გარკვეული ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ეწინააღმდეგება, რათა არ დააბანდონ ენერგოპროექტებში ფული. ეს შეიძლება ავხსნათ ან გაუთვითცნობიერებლობით, ან გამიზნული ქმედებით, რომელიც, შესაძლოა, სხვა ქვეყნის ინტერესებს უკავშირდებოდეს“,** — ვარაუდობს ის.

ექსპერტთა აზრით, საქართველო, უკრაინისგან განსხვავებით, ენერგეტიკულად არ არის რუსეთზე დამოკიდებული, ამდენად, თუნდაც დესტრუქციული ზემოქმედების სურვილის შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ ასეთი ქმედითი ეკონომიკური ბერკეტი არ გააჩნია. მაგრამ საქართველოს დამოკიდებულება მაღალია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარზე“, როგორც საწვავის, ასევე ბუნებრივი აირის მიწოდების ნაწილში. ამდენად, კითხვები ამ კუთხით მეტია.

ემზარ ჯგერენაიას თქმით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ევროკავშირის ქვეყნებში ენერგოპოლიტიკის მიმდინარე ტენდენციების შესახებ, თუ როგორ ხდება ახალი გამოწვევების ფორმირება, როგორ კეთდება აქცენტი ბაზრების დივერსიფიკაციაზე, ლიბერალიზაციაზე, ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა — ჰიდრორესურსების ათვისებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე.

„საქართველოში ჰიდროენერგეტიკა ინვესტორებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სექტორია, — ამბობს ექსპერტი, — **პროექტების განხილვის გარდა, ენერგეტიკის სამინისტროსა და მთავრობას უნდა ჰქონდეს გრძელვადიანი სტრატეგია, თავისი გამოწვევებით, შეფასებებითა და მოსალოდნელი შედეგებით. საჭიროა, ქვეყანას ჰქონდეს მკაფიო პოზიცია ინვესტორებთან ურთიერთობაში. საინვესტიციო გაიდები, ადგილობრივი პოტენციალის შეფასების ეფექტიანი კრიტერიუმები. მაგალითად, თუ კონკრეტული მდინარის პოტენციალი 50 მგ.ვატი არის, იქ არ უნდა აშენდეს 10 მგ ვატიანი ჰესი. ამიტომ, დღეს, როდესაც ინვესტორთან მემორანდუმი ფორმდება, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ეფექტიანად ვიყენებთ თუ არა მდინარის წყალშემკრები აუზის ჰიდროპოტენციალს. რა მექანიზმები და რეგლამენტებია ჩადებული სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, ან ვინ იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს და რამდენად აქვს მას საიმისო კვალიფიკაცია. ამ მიმართულებით მთავრობას შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს“.**

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ გაზმომარაგების შესახებაც. მათ სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია: „უნდა შევეხოთ გაზმომარაგების, გაზის ხარისხის, კალორიულობის, წნევის რეგულირების და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს. საქართველოში არ არსებობს ინფორმაცია ბუნებრივი აირის შემადგენლობის და ხარისხის შესახებ. არავინ იცის, არის თუ არა მოსახლეობის უსაფრთხოება დაცული და რეალურად რა ტარიფს ვიხდით მაშინ, როდესაც წნევის ცვალებადობის (დაწევის) შედეგად შესაძლებელია გაიზარდოს ბუნებრივი აირის სიმკვრივე, მისი მასა კუბურ მეტრში და, შესაბამისად, გაიზრდება ფასიც. გაზს „სოკარი“ გვაწვდის და, ამავე დროს, ეს აზერბაიჯანული კომპანია არის გაზის იმპორტიორიც და გაზგამანაწილებელი ქსელების მფლობელი რიგ რეგიონებში, რაც დომინანტურს ხდის მის მდგომარეობას და საკუთარ პირობებს კარნახობს სხვა გაზგამანაწილებელ ქსელებსაც. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ამ საკითხის აქტიური მონიტორინგი და გარკვეული სტანდარტების შექმნა“.

ამ სფეროში ჩახედულმა ადამიანებმა არც ის იციან, როგორი ხედვა აქვს ელექტროენერგიის, გაზის და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის ახალ ხელმძღვანელს. დღეს აქტიურად მიმდინარეობს საუბარი მზისა და ქარის ალტერნატიულ ენერგიებზე. როგორც ალტერნატიული ენერგეტიკის ექსპერტი ნუგზარ მელაძე ამბობს, სულ რაღაც 5 წელიწადში ეს ენერგიები აქტიურად ჩაანაცვლებენ ჰიდროენერგეტიკას. თუმცა, სახელმწიფოს რატომღაც არ სურს ამ მიმართულებებზე გეზის აღება. ემზარ ჯგერენაია კი პირიქით ფიქრობს: **„გერმანია დღეს რას აკეთებს? მთელი რიგი მიმართულებებით ცდილობს, შეამციროს გაზის მოხმარება. თუმცა, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ უახლოეს 50 წელიწადში ჰიდროენერგიას ვერ შეცვლის მზის ან ქარის ენერგია.**

არც ჩვენ გვაქვს დიდი ფიქრის დრო, უნდა გადავწყვიტოთ, ჩვენ გვინდა განვითარება, ვავითარებთ ჰიდრორესურსების ათვისების აქტიურ პოლიტიკას, თუ ვრჩებით იმ რისკების და საფრთხეების გარშემო, რომელიც არსებობს მეზობელი ქვეყნების ენერგოპოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე“, — **ამბობს ექსპერტი.**

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

როდის გადაწყდება ხუდონჰესის საკითხი?

ექსპერტთა ოთხეულმა — ლევან კალანდაძემ, ირაკლი ლექვინაძემ, ლევან ალაფიშვილმა და გიორგი აბაშიშვილმა პრემიერ-მინისტრს ხუდონჰესთან დაკავშირებულ საკითხებზე საინვესტიციო საბჭოს ფორმატში სპეციალური თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით მიმართეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციიდან „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა“ აცნობეს, ექსპერტებმა ბრიფინგი გამართეს და აღნიშნეს, რომ სასურველი იქნება საინვესტიციო საბჭოს ფორმატში ხუდონჰესის საკითხზე შექმნილი სპეციალური თემატური ჯგუფის მუშაობაში, ეკონომიკური პროფილის სამინისტროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა, ჩართულნი იყვნენ მხარის მაჟორიტარი დეპუტატი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი და მესტიის გამგებელი.

— ხუდონჰესის პროექტი მთავრობის პირველი სერიოზული გამოწვევაა როგორც საინვესტიციო, ფინანსური და ეკონომიკური კუთხით, ასევე კანონის უზენაესობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამიტომ, ჩვენს მიერ შეთავაზებული ფორმატი მეტად მნიშვნელოვანი იქნება ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების ეფექტური გადაწყვეტისთვის, — განაცხადა ცენტრ „მომავლის ინიციატივების“ ხელმძღვანელმა ლევან ალაფიშვილმა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობის აქტუალური მიმართულებების პროფესიული განხილვა და საქმიანობის კოორდინაცია ახლად ფორმირებული საინვესტიციო საბჭოს ფორმატში უნდა წარიმართოს.

2014 წელი ჟიული შარტავას წლად გამოცხადდა

აფხაზეთის მთავრობა ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულს მართავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის მთავრობიდან აცნობეს, კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია ლიტერატურულ-შემეცნებითი კონკურსები და სამეცნიერო კონფერენციები, ჟიული შარტავას სახელობის ტურნირები, სკულპტურული მემორიალის გახსნა „ერთიანი საქართველო“, ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლისა და წიგნების პრეზენტაციები, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა.

7 მარტს შოთა რუსთაველის თეატრში კი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო გაიმართება.

ბავშვთა სიკვდილიანობა - ყველაზე დიდი პრობლემა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჯერ საშუალო ევროპულთან მიახლოებულიც არ არის.

როგორც სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი ისევ პრობლემად რჩება, რომელზეც „ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რომ გამოსწორდეს“.

— დედათა და ბავშვთა საკითხები ყოველი ქვეყნისთვის განვითარების მთავარი ინდიკატორია და გამონაკლისი არც საქართველოა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირებისკენ მიდის, ჯერ მაჩვენებლები არ არის საშუალო ევროპულთანაც მიახლოებული და ამ მხრივ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. სტატისტიკურად, ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურა არ განსხვავდება მნიშვნელოვნად საერთაშორისოსგან, ანუ წლამდე ასაკში ესაა კუჭ-ნაწლავთა დაავადებები და ა.შ. ესაა მთლიანად ქვეყნის პრობლემა, რომელზეც ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ რომ გამოსწორდეს, — აღნიშნა სერგეენკომ.

მისივე განმარტებით, მთავრობის ლაიტმოტივია, სიმართლეს თვალი გაუსწოროს, ნახოს რა რეალურ პრობლემებსა და გამოწვევებთან აქვს საქმე და ინტენსიურად იმუშაოს მათ აღმოსაფხვრელად.

სესხი „არქიმედეს“ მიერ დაზარალებული სამედიცინო დაწესებულებებისთვის

სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მიერ დაზარალებული სამედიცინო დაწესებულებებისთვის ბიუჯეტიდან 5 მილიონი ლარის სესხი გამოიყოფა. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ განკარგულება უკვე გამოსცა, რომელიც 20 თებერვალს არის მიღებული და ხელს პრემიერ-მინისტრი აწერს.

დოკუმენტის მიხედვით, მთავრობა ცნობად იღებს, რომ სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფ არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მიმართ დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მიმართ წარმოქმნილი აქვს დიდი ოდენობით კრედიტორული დავალიანებები, რის გამოც აღნიშნულ დაწესებულებებს ფინანსური სირთულეები შეექმნათ.

სამედიცინო დაწესებულებების მიერ სამედიცინო მომსახურებების უწყვეტად და შეუფერხებლად განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით კი, მთავრობა გასცემს განკარგულებას, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ჯანდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, საბიუჯეტო სესხის გასაცემად გამოიყოს საკრედიტო რესურსი — 5 მილიონი ლარის ოდენობით.

ამავე განკარგულების გათვალისწინებით, ჯანდაცვის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა წარადგინოს წინადადებები კონკრეტული სამედიცინო დაწესებულებისათვის გასაცემი სესხის ოდენობისა და სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობების შესახებ.

ინტერპრესი



„კამერების წინ მითხარი, როგორ გახდი მილიარდერი? რატომ გამოგაგდეს ქართველებმა საქართველოდან? გვითხარი სიმართლე... ამ მაიდნიდან ხალხი სწორედ შენნაირ ბანდიტებს ერეკება. რატომ არა აქვთ ქართველებს სამუშაო საქართველოში და რატომ ჩამოდიან უკრაინაში?..“

მაიდნიდან ხალხი სწორედ სააკაშვილისნაირ ბანდიტებს ერეკებოდა!

მართლმადიდებელ უკრაინაში, მიტევების კვირის დასაწყისში (2 მარტს), ამერიკიდან ისევ ჩამოფრინდა ნაციონალების ყოფილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი და კიევის მაიდანზე შეკრებილი ხალხი ლამის ისევ პრეზიდენტის გონორით რუსეთის წინააღმდეგ „დარაზმა“: დღეს ევროპის და მთელი მსოფლიოს თავისუფლების ბედი კიევში წყდება... მე 17 წლისა ჩამოვედი უკრაინაში და მოქალაქედ და პოლიტიკოსად აქ ჩამოვყალიბდი... უკრაინაზე ლამაზი ქვეყანა და უკრაინელებზე ჭკვიანი ხალხი მსოფლიოში არ არსებობს... მე აგრესორ, ყველაფერზე წამსვლელ ჩეკისტს ვლადიმერ პუტინს კარგად ვიცნობ და დამიჯერეთ, ის იარაღით იძ შედის, სადაც მშიშრები და ლაჩრები ეგულება... ეს არის პუტინის ბოლო გაფართხალება... უკრაინას და უკრაინელებს ის ვერ მოერევა!..

მერე საკუთარი სამარცხვინო დამარცხების 2008 წელი გაიხსენა და თავი გაიმართლა: მე ხომ ვთხოვდი დასავლეთს, დაგვეხმარეთ, თორემ, ჯერ იძნება საქართველო, შემდეგ უკრაინა, შემდეგ პოლონეთი და ბალტიისპირეთი.

* * *

ცოტა იმედი მქონდა, რომ ამერიკაში გაქცევის შემდეგ ჩვენი მოუთვინიერებელი და ენაგრძელი მიშა პაწა ჭკუას მაინც ისწავლიდა, ან გაჩუმდებოდა, ან მოზომილ ლაპარაკს დაიწყებდა...

თქვენც არ მომიკვდეთ! – გიჟი კვლავ გიჟად (ქართველი ხალხის სირცხვილად) რჩება, რუსეთს და პუტინს უმოწყალოდ აგინებს, დასავლეთს კი, 2008 წლის აგვისტოში დაგვიანებული რეაქციისთვის ტუქსავს.

იძულებული ვარ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ: აგვისტოს ომის წინა თვეებში სააკაშვილის მუქარა და რუსული არმიის „დაჟანგული“ ტანკების ანტიპროპაგანდა რუსეთზე მეტად ევროპას აღიზიანებდა. ამერიკიდან კი ერთადერთი გაფრთხილება მოდიოდა, – მიშა, არ გაბედო, პროვოკაციას არ წამოეგო და ცხინვალში არ შეხვიდე! კონდოლიზა რაისმა 6 აგვისტოსაც კი გააფრთხილა.

7 აგვისტოს ღამით, გიჟი მიშა მაინც შეეჯლიგინდა ცხინვალში და ოსი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ ქალაქს საარტილერიო ზალპი დასცხო. საკუთარი „მშვიდობისმყოფელების“ და „რუსეთის მოქალაქეების“ დაცვის მიზნით, სააკაშვილზე უზომოდ „შეყვარებულმა“ პუტინმა ლამის მთელი 58-ე არმია დაძრა საქართველოსკენ, როკის გვირაბში გამოატარა, მეორე-მესამე დღეს სტრატეგიული ბომბდამშენებიც მოიშველია და 100-ზე მეტი ქართული სოფელი მიწასთან გასწორა... დაიღუპა ასობით ჯარისკაცი და მრავალი უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქე. დევნილთა ლაშქარს ათასობით ქართველი შეემატა. მიშა სამარცხვინოდ გამოიქცა ფრონტის ხაზიდან და თბილისში, აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ლიდერთან ერთად „გამარჯვების“ გალაკონცერტი გამართა!

– „რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენი, ხომ დარწმუნდით, რომ აგრესორი და ოკუპანტიაო“! – უხაროდა „დემოკრატიის შუქურას“ და უკრაინელ ვიქტორ იუშჩენკოსთან და პოლონელ ლეხ კაჩინსკისთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ლაღობდა...

მართლაც და პოლიტიკურად ბეცი და საკუთარი ხალხის მოღალატე თუ არა ხარ, განა შეიძლება საქართველოს სიგრძე-სიგანისა და დღევანდელი შესაძლებლობების მქონე ქვეყნის პრეზიდენტი უზარმაზარი ტერიტორიული და „დერჟავული“ ამბიციების მქონე რუსეთს ყბედობით და სხვისი იმედით ლანძღავდე და წინასწარ წაგებისთვის განწირულ გამოწვევაზე მიდიოდე?

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დღეებში ყირიმის ნახევარკუნძული, რომლის მოსახლეობის 60-65 პროცენტი ეთნიკური რუსია (სულ ყირიმში 2 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს) ხელმეორედ დაიპყრო რუსეთმა. რუსეთის ფედერაციის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლით დაბოღმილი პუტინის ჯარებმა უკვე მოახერხეს ნახევარკუნძულის ყველა სტრატეგიული ობიექტის „მშვიდობიანად“ მისაკუთრება და ახლა იარაღის ენით „მეგობრულ“ მოლაპარაკებას მართავენ ძველისძველი ძმობის აღსადგენად! როგორც ჩანს, ამ მოლაპარაკებაში მათ ხელს უწყობს უკრაინის სასაზღვრო ძალების მთავარსარდალი, გენერალი დენის ბერეზოვსკი (ესეც რუსი ებრაელი ხომ არ არის?), რომელიც საკუთარი ნებით გადავიდა რუსების მხარეს.

და რაც მთავარია, 45 მილიონიან, ტერიტორიით ევროპის უდიდეს ქვეყანას უკრაინას ეყო იმის ჭკუა, რომ ოკუპანტი რუსებისთვის ცეცხლი არ გაეხსნა! ამით ფართომასშტაბიანი ომი ჯერჯერობით გამოირიცხა... საქმეში ჩაერთო მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა... მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საათნახევრის განმავლობაში ელაპარაკა ვლადიმერ პუტინს. რა თქმა უნდა, საუბრის ტონი მშვიდი და სუპერ-დიპლომატიური იქნებოდა... თუმცაღა, ყოველი შემთხვევისთვის, შავ ზღვაში უკვე შემოვიდა ამერიკის ორი სამხედრო ხომალდი (გახსოვთ, ალბათ, აგვისტოს ომის დაწყებიდან მე-4 დღეს ჯორჯ ბუშმა „ჰუმანიტარული“ დახმარებისთვის, რუსეთის „დასაშინებლად“ ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ხომალდი გათუმში გვაახლა... თუმცაღა, უფლის ნებით, სამხედრო ოპერაციებისთვის აღარ დაგვჭირდა, რუსებს უკვე დამარცხებული ჰყავდათ ჩვენი ქარიყლაპია პრეზიდენტი).

* * *

საკუთარ ქვეყანაში (რა თქმა უნდა, სხვაგანაც!) პოლიტიკურ გვამად ქცეული ყოფილი პრეზიდენტი, უკრაინელებივით უნდა მოქცეულიყო, ცხინვალი არ უნდა „აეღო“, რუსების პროვოკაციას არ უნდა წამოგებოდა და პუტინისთვის იმის საშუალება არ უნდა მიეცა მომეტებული (მოჭარბებული, არათანაბარი) ძალა გამოეყენებინა და ჩვენი ქვეყანა დაენგრია, დაექუცმაცებინა და აფხაზეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა ეცნო!

„ჩვენ ორწლიანი პაუზის შემდეგ დავბრუნდებით ხელისუფლებაში და არავის არ მოვერიდებით!. წლევანდელ ზაფხულში, შესაძლოა, კიევის მაიდანმა თბილისში გადმოინაცვლოს!“

ტალიავინის კომისიის დასკვნის მთავარი აზრიც ამას გვიდასტურებს, თუმცაღა სააკაშვილს და მის ყოფილ მონებს ნაციონალური მოძრაობიდან ამის გაგება არ სურთ და დღესაც უცილობლობენ ვითა ჯორი...

უკრაინის გამო პუტინს ერთმნიშვნელოვნად აქცია ზურგი მთელმა მსოფლიომ. პუტინიც ნელ-ნელა უკან იხევს!

* * *

ერთობ საინტერესო იყო კარგად შეზარხოშებული უკრაინელის (მოგეხსენებათ, მთვრალი კაცი ფხიზელზე უფრო თამამია და მუდამ სიმართლეს ამბობს) გაბღენძილი სააკაშვილისთვის პირში მიხლილი სიტყვები: „კამერების წინ მითხარი, როგორ გახდი მილიარდერი? რატომ გამოგაგდეს ქართველებმა საქართველოდან? გვითხარი სიმართლე... ამ მაიდნიდან ხალხი სწორედ შენნაირ ბანდიტებს ერეკება. რატომ არა აქვთ ქართველებს სამუშაო საქართველოში და რატომ ჩამოდიან უკრაინაში?..“

თითოეული ქართველი დამეთანხმება, რომ ინტერნეტში გავრცელებული ამ კადრის და ნასვამი უკრაინელის სიტყვების ადრესატს მიხეილ სააკაშვილს, სირცხვილის ელემენტარული გრძნობა რომ ჰქონდეს, უკრაინაში საერთოდ აღარ ჩავიდოდა. იქაც კი ძალიან ბევრმა იცის როგორი მატყუარა და უსინდისო ბრძანდება ქართველთათვის ეს მოუშორებელი ჭირი. 2 მარტს „ლექციის წასაკითხად“ დაბრუნდა (წინა დღით ამერიკაში სალაყბოდ წავიდა, ყირიმში სიტუაცია დაიძაბა თუ არა, მეორე დღესვე უკან გამობრუნდა), რომ რუსეთი და პუტინი კიდევ ერთხელ ელანძღა!, თანაც თავისი იდიოტური გამონათქვამების აკიდოს კიდევ ერთი „მტევანი“ დაუმატა: **„ეს პუტინის ბოლო გაფართხალებააო, ის იარაღით მხოლოდ იქ შედის, სადაც მშიშრები და ლაჩრები ეგულებაო!“ ამით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ აღიარა, მე მშიშარა და ლაჩარი ვიყავი, 2008 წელს პუტინის არმია საქართველოში იმიტომ შემოიჭრაო!**

ვაი, უბედურო საქართველოვ! – ვის ხელში ვიყავით 9 წელიწადი და, შესაძლოა, კვლავაც ვის ხელში ჩავვარდეთ, თუ კოალიცია „ქართული ოცნება“ ასე უხერხემლოდ, ასე უბრძოლველად, ასეთი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდება **სააკაშვილის და მისი ჩაშმორებული, უნიფიცირებული გვამების –** (ასე გვლანძღავდა მიშა პრეზიდენტობის ჟამს) – **ნაცხროვის ყოველ გამოხტომას მანქურთი არამზადების გიორგი ვაშაძის, ნუგზარ წიკლაურის, გოკა გაბაშვილის, გიგა ბოკერიას, სერგო რატიანის, გივი თარგამაძის, ირმა ნადირაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილის და ასე განსაჯეთ, კობა ხაბაზისაც კი, – დაუფარავ მუქარას: „ჩვენ ორწლიანი პაუზის შემდეგ დავბრუნდებით ხელისუფლებაში და არავის არ მოვერიდებით!. წლევანდელ ზაფხულში, შესაძლოა, კიევის მაიდანმა თბილისში გადმოინაცვლოს!“**

რა თქმა უნდა, ეს მოლანდება-მონაჩმახი წმინდა წყლის შავი პიარია, რომელსაც განხორციელება არ უწერია, მაგრამ... ერთი გვითხარით, ბატონო ბიძინა, როგორ შევხედოთ ყოველივე ამას მარტოოდენ იუმორით?

მე მაოცებს ნაცბანდის „სუპერნაგლობა“ და ზოგიერთი ოცნებელის ალოგიკური დამოკიდებულება ამ „ნაგლობის“ მიმართ.

* * *

კიევში გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი შემზარავი ბრალდება წამოუყენა (ეს უკვე მერამდენედ!) რუსეთსა და პუტინს: **ჩემი ხელისუფლების ჩამოგდება და ბიძინა ივანიშვილის მოყვანა რუსეთს 2 მილიარდი დოლარი დაუჯდაო!**

ნუთუ ეს მართალია, ბატონო ბიძინა? თუ ეს ჩვეულებრივ იუმორს სცილდება და პოლიტიკურ სარკაზმში გადადის?

თუნდაც სიმწრის სიცილის მოსაგვრელად (იცინის ის, ვინც საბოლოოდ იცინის!), სასამართლოში რატომ არ უჩივლებთ არამზადა სააკაშვილს?

აა, თავს არ უყადრებთ? გიჟმა რაც უნდა ის იბჟუტურროსო?

კი მაგრამ, ხალხმა ეს რომ დაიჯეროს (ბევრი იჯერებს კიდეც), რახან ბიძინა და მისი „ოცნება“ ხმას არ იღებს, ალბათ, მართალიაო?!

ისევ დაიზაფრა, გაღიზიანდა სააკისტებისგან დაჩმორებულ-დაშინებული ხალხი... გაღიზიანებული და ნერვებგადაწყვეტილი, იმედგაცრუებულ-გაორებული ხალხი კი ძვეყანას ვერ ააშენებს!.. გაითვალისწინეთ ეს „ოცნებელებო!“ ჯერ კიდევ არ არის გვიან!

სპარტაკ ქოგულია

◎ ვითარება

მაკკეინმა, საქართველოს ნატოში გაწევრება დაჩქარეთო

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი რუსეთს აფრთხილებენ, რომ თუ ყირიმში რუსეთის ჯარები საკუთარ ბაზებს რამდენიმე საათში არ დაუბრუნდებიან, რუსეთს მნიშვნელოვანი დანაკარგები ემუქრება. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ რუსეთის ქმედებები მიუღებელია და თუ ის კურსს არ შეიცვლის, მნიშვნელოვანი საფასურის გაღება მოუწევს.

ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიუთითებს, სანქციები დააწესოს რუსი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, განაახლოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის განთავსების გეგმები აღმოსავლეთ ევროპაში და საქართველო ნატოში მიიღოს. სენატორ მაკკეინს სურს, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ გაზარდოს მუქარები და არ დასჯერდეს მხოლოდ ივნისში, სოჭში დაგეგმილ „დიდი რვიანის“ სამიტზე მონაწილეობაზე უარის თქმას.

„ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ შეზღუდულმა ნაბიჯმა პუტინი დაარწმუნოს, უარი თქვას ყირიმის კონტროლზე, სადაც რუსეთს 15 ათასი სამხედრო ჰყავს და სადაც რუსეთის კონტროლირებადი შეიარაღებული ძალები ორ მთავარ აეროპორტს აკონტროლებენ. ვფიქრობ, ობამას მუქარა სასაცილოა, მაგრამ ჩემი აზრით, ჩვენ და ყველა სხვა ლიდერმა ეს უნდა გავაკეთოთ, რადგან ერთადერთი, რითიც პუტინი სიამოვნებას იღებს, ეს საერთაშორისო სარბიელზე გაბღენძვაა“, — განაცხადა ჯონ მაკკეინმა ამერიკული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამასთან, ამერიკელმა სენატორმა აღნიშნა, რომ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა სათანადოდ ვერ შეაფასა რუსეთი, რომელმაც 2009 წელს რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის შესახებ განაცხადა. სენატორი აცხადებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ უნდა იმუშაოს ნატოსთან, რათა დაჩქაროს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების პროცესი.

„საქართველო ისწრაფოდა მაპის მოპოვებისთვის, მაგრამ მისი ეს ძალისხმევა რუსეთის მიერ საქართველოს ორი ტერიტორიის დაპყრობამ შეაფერხა უკრაინას კი, რომელმაც წლების წინათ ნებაყოფლობით თქვა უარი ნატო-ზე, შეესაძლოა ახლა უფრო მეტი სტიმული ჰქონდეს ალიანსში გასაწევრებლად“, — განაცხადა ჯონ მაკკეინმა.

სენატორ მაკკეინის განცხადებას დროულს და მნიშვნელოვანს უწოდებს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, რომლის განცხადებით, პუტინი 21-ე საუკუნეში მე-20 საუკუნის მეთოდებით მოქმედებს, რაც მისთვის ჩვეულებრივი მეთოდია. დოლიძე ფიქრობს, რომ დასავლეთმა უფრო მეტი აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას.

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაკკეინის განცხადება, რომ რაც შეიძლება დროულად დაჩქარდეს საქართველოს ინტეგრაციული პროცესი. საქართველო ნატოშიც შეიყვანონ, ევროკავშირშიც და საერთოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი მაქსიმალურად დაიძრას. სხვა ენით რუსეთთან საუბარი არ შეიძლება. ცენტრალური ევროპის 50-მილიონიან ქვეყანაში შეჰყავს ჯარი, რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვიქტორ დოლიძე.

უკრაინაში მოვლენები ზუსტად იმ სცენარით ვითარდება, როგორც ეს საქართველოში ექვსი წლის წინათ ხდებოდა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი საერთაშორისო თანამეგობრობას, ევროკავშირს, ნატოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს მოუწოდებს, მკაცრ განცხადებებთან ერთად მიიღონ ქმედითი ზომები ვითარების განმუხტვისთვისა და მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

ალექსი პეტრიაშვილის აზრით, ევროკავშირმა კიდევ უფრო უნდა დაჩქაროს უკრაინასთან, მოლდოვასთან და საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და რატიფიცირება და საქართველოსთან სავიზო ლიბერალიზაციის მოლაპარაკებების დროულად დასრულება.

„უმოქმედობის შემთხვევაში, მივიღებთ კონფლიქტის ახალ კერას, ახალ ოკუპაციას და წარმოუდგენლად დიდ მსხვერპლს. საფრთხე ექმნება არა მხოლოდ უკრაინას, არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონს, არამედ ზოგადად საერთაშორისო სტაბილურობასა და წესრიგს. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სივრცეში მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უსწრაფესი და ეფექტური საშუალება საქართველოსთვის და მოლდოვასთვის ევროპული პერსპექტივის შეთავაზებაა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ნატოს 2014 წლის სამიტზე მოკავშირეებმა დადებითად გადაწყვიტონ საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მიცემის საკითხი.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმაზე (MAP) უარის თქმამ რუსეთს ერთგვარად ხელ-ფეხი გაუსსნა აგრესიული მოქმედებებისთვის. იმედია, საერთაშორისო თანამეგობრობა დღეს უფრო პრინციპულად და ნაყოფიერად იმოქმედებს და ჩვენი რეგიონის ხალხებს ევროპისკენ მიმავალ გზაზე მეტი სისხლის დაღვრა აღარ მოუწევთ“, — აცხადებს ალექსი პეტრიაშვილი.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმით, დასავლეთმა დიდი შეცდომა დაუშვა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები დასავლეთის შეცდომების ანარეკლია. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, როდესაც ასეთ მეტოქესთან გაქვს საქმე, შეცდომების დაშვება ძალიან სახიფათო ხდება.

„სამწუხაროდ, ევროპაც ხშირ შემთხვევაში უშვებს შეცდომას. ასეთი შეცდომა გახლავთ ის, რომ ძალიან დიდი ფასი დაადო ევროპამ ნატოში ჩვენს მიღებას. ძალიან გააჭიანურა ეს პროცესი. ისევე როგორც ევროკავშირში უკრაინის შესვლას გაუჩინა ბევრი ბარიერი, ამ ბარიერებში რუსეთმა მოიგო დრო და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ახლა იწყებს დასავლეთი აზრზე მოსვლას. ასე გაგრძელება არ შეიძლება და ამის ასახვაა მაკკეინის ეს პოზიცია.

რუსეთი თავზეხელაღებული ხდება მაშინ, როდესაც მას ანგარიშსს არ უწევენ. გამორიცხული არაა, ნატოში ჩვენი მიღების პირობებში, თავზე ხელი ისევ აიღოს. ექნება თუ არა დასავლეთს და ნატოს იმის უნარი, რომ აღკვეთოს ეს მოქმედებები, ეს უნდა გამოჩნდეს უკრაინის შემთხვევაში. 2008 წელს ასეთი უნარი დასავლეთს არ აღმოაჩნდა. ჩავთვალოთ, რომ საქართველო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო.

ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა დადებული სასწორზე. თუ აღმოჩნდება, რომ დასავლეთს რუსეთის შეკავების უნარი აქვს, ასეთ შემთხვევაში, ნატოსკენ წასვლა ჩვენთვისაც უსაფრთხოა. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ დასავლეთი ისევ სუსტია და შეშფოთება- აღშფოთებით შემოიფარგლება, ასეთ შემთხვევაში არაა გამორიცხული, რომ პუტინმა ნატოსკენ მიმავალ გზაზე თავისი ბეტეერები დააყენოს“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ძარჩავა

◎ საგანგაშო ვითარება

გახდება ყირიმი აფხაზეთი-2?

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში ყირიმში ამჟამად მიმდინარე მოვლენების კომენტირებისას აცხადებს, რომ პრაქტიკულად ძალიან მცირე შანსია დარჩენილი იმისათის, რომ ყირიმი სამოქალაქო ომს ასცდეს.

ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკრაინელებმა, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სწორედ ის შეცდომა დაუშვეს, რაც თავის დროზე საქართველომ.

— მდგომარეობა ყირიმში დღითი დღე უფრო მძიმდება. სადამდე შეიძლება მივიდეს იქ ამჟამად არსებული სიტუაცია?

— თუ კიევის დღევანდელი ხელისუფლება ადეკვატური არ იქნება, ეს ყველაფერი დასრულდება სამოქალაქო ომით.

სამწუხაროდ, ჩვენ გავიარეთ ეს ეტაპი 90-იან წლებში და ეს ყველაფერი გამოცდილი გვაქვს.

ჩვენ გვქონდა ჩვენს უკრაინელ მეგობრებთან არაერთი კონსულტაცია ამ წლების განმავლობაში, მათ შორის იმ მემარჯვენე ძალებთან, რომლებიც ახლა ხელისუფლების ერთ-ერთ სერიოზულ საყრდენს წარმოადგენს და მათ ყოველთვის ვეუბნებოდით — თუ ანალოგიური მოხდება თქვენთან ჩვენი შეცდომები არ გაიმეოროთ.

პირველი რაც ახალმა ხელისუფლებამ გააკეთა ის შეცდომა გაიმეორა ზუსტად — ეს იყო რუსული ენის აკრძალვა ყირიმში.

— მათი ადეკვატურობა რაში უნდა იყოს გამოხატული?

— ადეკვატურობა იმას ნიშნავს, რომ უნდა ეყოთ ახლა სიბრძნე იმისთვის, რომ არ დაუშვან ახლა სამოქალაქო დაპირისპირება და თავისივე მიღებული გადაწვეტილება უკან უნდა წაიღონ - პირველი ნაბიჯი ეს არის. ეს ძალიან შეუწყობს ხელს სიტუაციის ჩაცხრომას.

მეორე — აუცილებელია რაც შეიძლება წარმომადგენლობითი ჯგუფი ჩავიდეს დეპუტატებისა ყირიმში, მათ შორის რეგიონების პარტიის წარმომადგენლებისა, რომლებიც ახლა რადაში მოღვაწეობენ ან მონაწილეობენ კენჭისყრაში და მხარს უჭერენ თუნდაც ახალი პრემიერის არჩევას. ისინი უნდა წავიდნენ აუცილებლად და ადგილობრივი რადას წევრებთან უნდა შეეცადონ, სიტუაციის მოწესრიგებას.

მიუხედავად იმისა, რომ, რასაკვირველია, იქ პროვოკაციები იქნება, რომლებსაც რუსეთი შეუწყობს ხელს, დასავლეთი შეუწყობს ხელს, მოკლედ ყველა — ვისაც არ ეზარება.

თუ უკრაინის გადარჩენა უნდათ, ასე უნდა იმოქმედონ, უნდა იყვნენ რაც შეიძლება მოქნილნი და პოლიტიკურად გაწონასწორებულნი.

თორემ სხვა შემთხვევაში იქნება სამოქალაქო ომი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უკრაინის დაშლა ან — არ გამოიწვიოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყირიმი დაინგრევა — მოხდება ის, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში მოხდა და ყირიმი შეიძლება გახდეს აფხაზეთი-2 თავისი ფინალით სხვათა შორის.

— ახლა სასწრაფო მოქმედებებია საჭირო, თუმცა აქამდე კიევიდან ყირიმში არავინ ჩასულა და არც იმის ნიშნები ჩანს, რომ კანონის გაწვევას აპირებს ვინმე...

— ტურჩინოვმა გუშინ განაცხადა, რომ ის აპირებს, ჩავიდეს ყირიმში და დაიწყოს სიტუაციის დალაგება, თუმცა, მხოლოდ ტურჩინოვი არ ეყოფა ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ ტურჩინოვი მაინცდამაინც პოპულარობით არ გამოირჩევა ყირიმში.

საჭიროა, ისეთი ხალხი ჩავიდეს ვისაც ავტორიტეტი და პასუხსმგებლობა აქვს. იქ ისეთი ხალხი უნდა ჩავიდეს, ვისაც შეეძლება სწორად ლაპარაკი ადგილობრივ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან და, რასაკვირველია, უწინარესად, რადას წევრებთან.

თორემ სამოქალაქო ომი იქ აუცილებლად იქნება. იქ არის დაახლოებით ორი ერთზე ძალთა შეფარდება რუსების სასარგებლოდ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ უკრაინულ-თათრული ადგილობრივი მოსახლეობა ბევრად უფრო ორგანიზებულია, ვიდრე რუსები და იქ საშინელება დატრიალდება.

— დროში რამდენად გაწელილი იქნება ეს ყველაფერი? მივლენ კი ისინი 25 მაისისთვის დანიშნულ რეფერენდუმამდე?

— ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ არ მივიდნენ. სხვათა შორის ამაში მარტო რუსეთი არ იქნება დამნაშავე. ზოგიერთი დასავლური ძალაც იქნება დამნაშავე, რომელთაც, მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, რომ არ უნდათ ესკალაცია — ყირიმში არსებობს ძალები, რომლებსაც უნდათ ესკალაცია. თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთი საბოლოოდ იქნეს, გააძევონ ყირიმიდან და, მეორე მხრივ, ასე ვთქვათ, აიძულონ რუსები, სამოქალაქო ომში ჩაებან.

არ ვიცი მოსკოში რა გადაწვეტილებას მიიღებენ, მაგრამ რუსულ ელექტრონულ მედიაში გამოსული პირების რიტორიკით თუ ვიმსჯელებთ, პრაქტიკულად სამხედრო ესკალაცია მიდის და რუს მოსახლეობას, არა მარტო რუსეთში, არამედ უკრაინაშიც პირდაპირ ეუბნებიან, რომ ჩვენ ყველანი ჯარების შეყვანის მომხრე ვართ.

— მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთი არ დათმობს?

— რუსეთი არ დათმობს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც დასავლეთი არ დათმობს და ამიტომ არის, რომ თვითონ უკრაინელებმა, უკრაინის მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ სიბრძნე , რათა სიტუაცია როგორმე გადააჩინონ.

სხვათა შორის, ძალიან ცოტა შანსია იმისა, რომ სიტუაცია გადარჩეს.

როგორ ვივითვისოთ მილიონები დაუსჯელად...

2014 წლის იანვრის დასაწყისში, BBC-იმ და Associated Press-მა გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუმინეთის უზენაესმა სასამართლომ, მექრთამეობისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რუმინეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ადრიან ნასტასეს. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი საკუთარი სახლის მშენებლობისას, ქრთამის სახით ჩინური სამშენებლო მასალების მიღებაში. ამავე დანაშაულში თანამონაწილეობისათვის 3 წლით პირობითი მსჯავრი შეეფარდა ნასტასეს ცოლს - დანას.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ნასტასემ სამშენებლო ბიზნესის მწარმოებელ ირინა ჯიანუსგან ქრთამის სახით მიიღო 630 000 ევროს (856 000 დოლარის) ღირებულების სამშენებლო მასალები. მიღებული ქრთამის სანაცვლოდ ნასტასემ ჯიანუ რუმინეთის მშენებლობათა სახელმწიფო ინსპექტორატის ხელმძღვანელად დანიშნა. აღსანიშნავია, რომ ნასტასემ ციხე, ამ ახალი სასჯელის დანიშვნამდე 10 თვის წინათ დატოვა, სადაც იგი 2012 წელს მისჯილ 2-წლიან თავისუფლების აღკვეთის სასჯელს იხდიდა. წინა განაჩენით იგი მსჯავრდებულ იქნა 2004 წელს სამშენებლო კომპანიებისაგან, მისი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით ნაღდი ფულის, სულ რაღაც 1,6 მილიონ ევროს უკანონოდ აკრეფისათვის.

საინტერესოა, რომ 2014 წლის პროცესზე, ნასტასე ბრალდებული იყო ასევე, ე.წ. „დეიდა ტამარას“ საქმეზეც. ამ ბრალდების მიხედვით, ნასტასემ 400 000 დოლარი შესთავაზა ქრთამად რუმინეთში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსს, რათა ამ უწყების მიერ წარმოებული საქმიდან გაექრო მისი ცოლის საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული დოკუმენტები. ნასტასე იმტკიცებოდა, რომ თანხები, რომლებიც მისი ცოლის საბანკო ანგარიშზე იყო განთავსებული, ეკუთვნოდა მისი ცოლის დეიდას — ტამარას. ამ ბრალდებაში, ნასტასე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, თუმცა, გაურკვეველი დარჩა რა უნდოდა ტამარას ფულებს დანას ანგარიშზე. მსოფლიოს არც ერთი სააგენტო არ იუწყებოდა, გამოიწვია თუ არა აღშფოთება-შეშფოთება ნასტასეს ამ განაჩენმა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.

ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს ქართული მხარის წარმომადგენლების მიერ რუმინელებთან კონტაქტის დამყარება, რათა დადგინდეს, თუ რა მეთოდით აირიდეს მათ დასავლეთის რისხვა და გაუთავებელი შეგონებები მაფიოზურ კრიმინალთა პოლიტიკურად მოტივირებული სამართლებრივი დევნის განხორციელების ბრალდებით.

ნასტასეს სისხლის სამართლის საქმეები მიუთითებენ მის შეუდარებელ უცოდველობაზე ნაცხროველთა ქმედებების ფონზე. ამ პირმა 4 წლის განმავლობაში დიდი წვალებით სულ რაღაც 3 მილიონი დოლარის მითვისება შესძლო.

სახელოვანმა ნაცხროველებმა ყოველგვარი ცოლის დეიდების გარეშე 2004-12 წლებში მითვისეს და უკვალოდ შთანთქეს სახელმწიფოს კუთვნილი მილიარდობით დოლარი. აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, 2012 წლის ბოლოს საქართველოს საგარეო ვალი 11 მილიარდ 760 მილიონ დოლარს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს რომ, საქართველოს ყოველ მოქალაქეს, დაწყებული ახლად გაჩენილიდან, ასწლოვანებით დამთავრებული, დაახლოებით 3 334 დოლარი ვალი აქვს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის ომის შედეგად დასავლეთიდან დახმარების სახით მიღებულ იქნა 3,5 მილიარდი დოლარი. ვალის წარმომავლობას, დანიშნულებას და ხარჯვის სამართლიანობას არავინ კითხულობდა და არც ახლა კითხულობს, გრანტების ხარჯვის კანონიერებაზე კი საუბარიც ზედმეტია, რადგანაც ამ თემების თეორიული განხილვაც კი სიცოცხლისთვის საზიფათოა.

სწორედ ამით აიხსნება დასავლელთა ზღვარგადასული ზრუნვა ნაცხროველ კრიმინალებზე, რომელთა ალაპარაკების შემთხვევაში ნათელი მოეფინება, თუ რა ფინანსურ ხეირს პოულობდნენ სესხთა და გრანტთა გამცემები. ეჭვგარეშეა, რომ ალაპარაკების შემთხვევაში, როგორც ალაპარაკებულები, ისე მათი ამლაპარაკებლები უმალ მიქელ-გაბრიელის ქვეშევრდომები გახდებიან.

მილიონი დოლარი — თანხა, რომლის გამოსამუშავებლადაც დედამიწის საშუალო სტატისტიკურმა მცხოვრებმა 92 წელი უნდა იმუშაოს

თანხების მითვისებაში გაწაფულობა უდაოდ გამოარჩევს ნაცხროველ პირანუსელებს როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი კრიმინალებისაგან. აშკარაა, რომ მზიას და ზეზვას გენის გამგრძელებლები რაღაც საიდუმლოს უნდა ფლობდნენ, რისი წყალობითაც ისინი ან თავად ხდებიან უჩინარნი, ან კიდევ აბრმავებენ, ან ათაყვანებენ სამართალდამცავ ორგანოებს ისე, რომ მათ უბრალო არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულების უნარს უსპობენ, ან იმ მდგომარეობამდე მიჰყავთ, რომ ეს უკანასკნელნი საკუთარ პატრონსაც ვეღარ ცნობენ.

ნაცხროველ კრიმინალთა მიერ ჩადენილი ძარცვა-ყაჩაღობების მასშტაბებს და აღნიშნულის შედეგების შეუდარებელი ოსტატობით ჩაფარცხვას, თვალნათლივ წარმოაჩენს ის

ფაქტი, რომ 15 მილიარდი დოლარი (ის, რაც თითქოს საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნოდა), რომელიც წონით რამდენიმე ტონას შეადგენდა, უკვალოდაა აორთქლებული და გამქრალი.

პირანუსელ ნაცხროველთა ეს მაგიური უნარი, რომელიც დევიდ კოპერფილდსაც კი არ დასიზმრებია, შეუმჩნეველად არ დარჩენია „აორთქლებული, გამქრალი“ თანხების მეწილეებს დასავლეთში. სხვა რით უნდა აიხსნას, რომ ნომერ პირველი პირანუსელი მიხეილ სააკაშვილი, მსოფლიო რეიტინგში 87-ე ადგილზე მყოფ ტაფტის უნივერსიტეტის, ფლეტჩერის სამართლის და დიპლომატიის სკოლაში კითხულობს ლექციებს ანტიკორუფციულ თემებზე, რითაც, ოსტაპ ბენდერის ეს კარიკატურა აშკარა საფრთხეს უქმნის შტატების მომავალ ფინანსურ და სამართლებრივ სისტემას. უნგრეთში ამდაგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა ასევე, ნომერ მეორე ნაცხროველი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურად ადეიშვილი, სადაც, ალბათ, სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს ატრეინინგებს მექრთამეობაში, რადგან მეტი, მიუხედავად ზენიჭიერებისა, საერთოდ არაფერი იცის.

ასევე მოუთმენლად ელოდნენ ფრანგი მექრთამეები ცნობილი კურდღლის, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინიტრის ექსტრადირების საქმის დასრულებას, რის შემდეგაც, სავარაუდოა, რომ ეს პირი სორბონაში იქნება მიწვეული ლექციების კურსის საკითხავად თემაზე: „სახელმწიფოს შეუმჩნეველი და განუკითხავი ძარცვა ომის პროვოცირების მეშვეობით.“

სავარაუდოა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სამივე სახელგანთქმული პირანუსელი მოწვეული იქნება ლექციათა კურსის საკითხავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც ნაცხროველთა იდეოლოგიურ ფორპოსტადაა გადაქცეული. ტრადიციებს ხომ ღირსეული გაგრძელება სჭირდება.

ისეთი „არაკორუმპირებული“ სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველო იყო 2012 წლამდე, მხოლოდ 2008 წლიდან, ევროკავშირმა 15 მილიონი ევრო გამოყო საქართველოში არარსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისათვის. საერთოდ კი მხოლოდ 2011-13 წლებში ევროკავშირმა საქართველოს გამოუყო 180 მილიონი ევრო, მრავალ საკითხთა, მათ შორის — სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად ტრეინინგებზე და ვორქშოფებზე, სამთო და საზღვაო კურორტებზე, რის შედეგადაც ქართველმა სამართალდამცავებმა საერთოდ დაკარგეს სამყაროს რეალურად აღქმის უნარი, რაც პირდაპირ კავშირშია მათ მიერ, ადრე და ამჟამად ნაცბანდის წევრთა ბრალდების წარმატებით გამოძიებულ საქმეთა ნულთან მიახლოებულ მაჩვენებელთან.

სავარაუდოა, რომ ახალი ხელისუფლება, მონდომების შემთხვევაში, რეალურად შესძლებს წარსულის მავნე გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანას, თუკი საქმეს ნუცას სკოლადამთვრებულებს და ნაცხროვის სატელიტებს არ მიანდობს.

...როგორც ნაცხროველთა ლიდერის ფენომენი მოწმობს, მითვისების მეთოდთა შორის ყველაზე წარმატებულია მილიარდის მითვისება. ეს იძლევა ასპროცენტიან გარანტიას, რომ მითვისებულის დიდი ნაწილი იქნება შენარჩუნებული, ამ თანხის ნაწილით კი გამოძიების, სასამართლოს, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა თუ ცრუ ოპონენტთა, უცხოელ ლობისტთა და მასმედიის მოსყიდვას. აღნიშნულის შედეგად, კვლავაც უცვლელი რჩება ხელთა ურთიერთბანის უკვდავი რომაული პრინციპი — manus manum lavat.

ვისაც არ შესწევს მილიარდის შოვნის უნარი და მხოლოდ მილიონით კმაყოფილდება, მათთვისაც არსებობს რეცეპტი. საამისოდ საჭიროა პირველ, საწყის ეტაპზე რომელიმე პარტიაში შეძრომა, რაც თავისთავად მუქთა პურის ჭამის უზრუნველყოფის უებარი საშუალებაა.

იმავდროულად, უნდა აიცრათ ყოველივე ადამიანურის წინააღმდეგ, რაც გააათმაგებს თქვენს ბრძოლისუნარიანობას. მეტყველების და წერა-კითხვის უნარის დახვეწა საჭირო არაა, რადგან საზოგადოებისთვის მთავარია თქვენი სტატუსი და არა ის, თუ რას ჩმახავთ, ბოდავთ ან ჩლიფინებთ. იმავდროულად, არ უნდა დაიზაროთ და სისტემატურად ივარჯიშოთ ხტუნვაში, რაც აუცილებლად გამოგადგებათ ერთი პარტიიდან, საჭიროების შემთხვევაში, მეორეში, ან სხვა უფრო მნიშვნელოვან რაღაცრაღაცებზე გადახტომაში.

რადგანაც თქვენი საბოლოო მიზანი მაინც უშრომლად მილიონის შოვნაა, პარტიული საქმიანობით უნდა უზრუნველყოთ მთავრობაში ან პარლამენტში თქვენი შეღწევა. საამისოდ არ უნდა დაიშუროთ თანხა ვაზელინის დიდი ოდენობით მოსამარაგებლად. ამასთან ერთად, უნდა გამოიმუშაოთ უნარი, რათა თქვენს სამეტყველო ლექსიკაში ყოველი მეორე სიტყვა იყოს „ხალხი“ ყველა ბრუნვაში.

პარლამენტარის, ან საზოგადოებაზე მზრუნველი მთავრობის წევრის, ან მათთან დაახლოებული პოსტის მისაკუთრების დამატებითი, დამხმარე საშუალებაა საქართველოში მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და ლოკალურ დონეზე გამარჯვება. ეს კი, არც თუ შორეულ მომავალში, ევროკავშირში „დაკარგული“ 120 მილიარდის რაღაც ნაწილის დასაკუთრებაშიც დაგეხმარებათ.

გარდა ამისა, ყოველი შემთხვევისთვის უნდა შექმნათ მეუღლეთა, ან მათ ნათესავთა სახელზე დარეგისტრირებული ასო, ან რაიმე, უმჯობესია ევრო-ამერიკული დემოკრატიის კვლევების ინსტიტუტი ან ცენტრი, რომლებიც მუდმივად იმუშავებენ მილიონიანი გრანტებით უზრუნველყოფილ ისეთ ანტიკორუფციულ თემებზე , როგორიცაა მაგალითად „როგორ ვებრძოლოთ მილიონების მითვისებას, ოპოზიციად შერაცხილ ნაცხროვის გაბლატავების პირობებში“.

ბესარიონ კერესელიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● იყო დრო, როცამ, ჩვენი ხელისუფლების „წარმომადგენლები“ იხვეწებოდნენ რომელიმე გადაცემაში მოვხვდეთო დღეს რომ ეუბნებიან, არსად მიდიან, რუსთავი 2-ის გარდა. ბიჯოოო, თუ „რუსთავი 2“-ზე გინდოდათ დაჯდომა, გეთქვათ, რატომ გვაწვალეთ ამდენი? ვიყიდიდით საეთერო დროს რამეფრად.

● მე მომხრე ვარ და მჯერა, მარტო არ ვიქნები: უნდა ვაიძულოთ, რომ პოლიტიკაში წავიდნენ უკვე გამილიონერებულები და არა ცალ-ცალკალოშიანები!

● ქართველი პრესტუპნიკები, რუსის ჯარი, რუსი ნაიომნიკები, ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკები, კაზაკები, მოკლედ ყველა დედის დაწყევლილი შვილი უკრაინაში მიდის. საწყალი უკრაინა, ძაან ცუდად აქვს საქმე.

● და სულ მალე დადგება ის ნანატრი დრო, როდესაც ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები შექმნიან შედევრებს... „ავთო და ქოლგა“ ... „ხადური და ციკანი თონეში“. ქალაქის მთავარ მოედანზე დაიდგმება კვერცხების და ჯიპების მონუმენტი... „ჯიპები კვერცხებზე“ ან პირიქით.. „კვერცხები ჯიპებში“.

● რატო შტრიხკოდი არ გამიხმა, ID ბარათი რო ავიღე.

● რაღაც „ხუთოსნების“ და „ოცი პროცენტის“ ხმა აღარ მესმის — რა იყო, დღეს ყირიმელი თათრები რომ იყოთ, გიტეხავთ? იასნია კიევში მაიდანზე და ხრეშჩაწიკზე ტუსოვკა გირჩევნიათ სევასტოპოლში ომს! თქვენ რუსს „თქვენი სამშობლოდან“ გაექეცით და იქ რისი გამკეთებლები ხართ!

● ხან რა გამახსენდა და ხან რა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს „აკვდება“ ეს ანდაზა — ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო.

● ეეეეე ევროპა, არ გეყო ამდენი შეშფოთებები??? 23 წელია შფოთავ და რუსეთმა კი გადახნა ყველაფერი. შეასრულეის გარანტიები, რაც შენი ხელისმიწერით დაუდასტურეთ უკრაინას. უკრაინა მესამე ქვეყანა იყო ბირთვული პოტენციალით, რაც თქვენი მოთხოვნებით რუსეთს გადასცა და თქვენ კი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტია მიეცით, ესაა თქვენი სიტყვა?? რუსეთი გასაგებია ვინც არის და თქვენ იმოქმედეთ. დაიწყეთ რამე, ან შეეშვით ამ შფოთვას!

● ფეისბუკში რუსეთი თითქმის დავამარცხეთ. მხოლოდ ნუკრი ქანთარია უნდა გავგზავნოთ დროშით და მოსკოვი ჩვენია!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი მოუწოდებს, დაიცვან უკრაინა

ამ დროს სოხუმსა და ცხინვალში მთლიანად უჭერენ მხარს რუსეთს

საერთაშორისო გაერთიანებამ და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს ყველა ბერკეტი, რათა არ დაუშვას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ქართული სცენარის განმეორება, და მსოფლიო შეიძლება გახდეს „მორიგი აგრესიისა და ოკუპაციის“ მოწმე, — მიაჩნია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს.

„ჩვენ მძიმედ განვიცდით პროცესებს უკრაინაში — ყირიმში, რომელიც რეგიონში სერიოზული დაძაბულობის კერა ხდება. რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება ამ ქვეყანაში დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანის შესახებ აშკარად არღვევს უკრაინის სუვერენიტეტს და არის საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა. სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა“.

„დაუშვებელია, რომ სახელმწიფოების ბედი, მათი მომავალი და ტერიტორიული მთლიანობა წყდებოდეს უცხოური სახელმწიფოს ზემოქმედებითა და ძალოვანი ჩარევით“, — ნათქვამია პრეზიდენტ მარგველაშვილის სპეციალურ განცხადებაში უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

„ევროპული პერსპექტივა“

3 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი ეფექტიანი ღონისძიება მესამე მხარის ჩარევის შემცირებისთვის საგარეოპოლიტიკურ არჩევანში „აღმოსავლური პარტნიორობის“ წევრი ქვეყნებისთვის იქნება ეს გადაწყვეტილება სიტუაციას ქმნის უფრო აფეთქებასაშიშს, რამაც შეიძლება უმძიმეს შედეგამდე მიგვიყვანოს“, — ნათქვამია საქართველოს პრემიერის 2 მარტის სპეციალურ განცხადებაში.

უკრაინის მოვლენების მსგავსება იმასთან, რაც ხდებოდა საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე, უფრო ადრე აღნიშნული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„ასე იწყებოდა რუსეთის აგრესია საქართველოშიც, რაც ქვეყნისთვის უმძიმესი შედეგით — ტერიტორიის ოკუპაციით დამთავრდა, და დღემდე საერთაშორისო საზოგადოება უსუსურია აიძულოს რუსეთი შეასრულოს თავის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ჯარების გამოყვანის შესახებ საქართველოდან“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 1 მარტის განცხადებაში.

საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება „ქმნის რეგიონული უსაფრთხოების არსებით საფრთხეს“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას „დაიცვას უკრაინის სუვერენიტეტი“.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას მოახდინოს რეაგირება ყირიმში განვითარებულ მოვლენებზე, რათა „თავიდან ავიცილოთ შესაძლო აგრესია და შევინარჩუნოთ უკრაინის ზუსტი გზავნილი ევროკავშირის მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნებს აქვთ ევროპული პერსპექტივა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, რომლის პარაფირებაც მოახდინეს საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ, არ გულისხმობს ევროკავშირში წევრობის პერსპექტივას.

„უკრაინას უნდა მიეინიჭოს ევროპული პერსპექტივა და მიმაჩნია, რომ იგივე რამ უნდა მოხდეს საქართველოსთან და მოლდოვასთან დაკავშირებითაც. ევროპული პერსპექტივები, როგორც მიზანი, საშუალებას მისცემს ამ ქვეყნებს, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გახდნენ ევროკავშირის წევრები, ამავე დროს, ეს არის მეტად დიდი სტიმული და ძალიან ზუსტი სიგნალი ყველა მიმართულებით მათთვის, ვისაც სურს ხელი შეუშალოს ამ ქვეყნების ევროპულ ინტეგრაციას“, — განაცხადა ფანჯიკიძემ. საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საქართველო აპირებს „სთხოვოს“ ევროკავშირს მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებაში, ანდა რაიმე სხვა გზით.

„სრული მხარდაჭერა“

იმ დროს, როდესაც საქართველოს დედაქალაქში გმობენ რუსეთის ჩარევას უკრაინის საშინაო საქმეებში, ქვეყნის სეპარატისტული რეგიონის ხელისუფლებებმა განაცხადეს რუსეთის მოქმედებათა მხარდაჭერის შესახებ.

კერძოდ, 3 მარტს აფხაზეთის პარლამენტმა წერილი გაუგზავნა ყირიმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმირ კონსტანტინოვს, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს ვალენტინ მატვიენკოსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ფედერალური კრების თავმჯდომარეს სერგეი ნარიშკინს. წერილში გამოთქმულია „რუსეთის ფედერაციის იმ ძალისხმევის მხარდაჭერა, რაც დაკავშირებულია მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნებისთვის უკრაინაში“.

სამხრეთი ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა, თავის მხრივ, ასევე განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შესაძლო გამოყენებას უკრაინის ტერიტორიაზე.

ამავე დროს, სამხრეთი ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ანატოლი პლიევმა ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ რუსეთის ყველა მოქმედება მიზნად ისახავს უკრაინის საზოგადოების გაერთიანებას“ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხრეთი ოსეთი მზადაა აღმოუჩინოს „პრაქტიკული დახმარება“ რუს მოქალაქეებს უკრაინაში.

„მკაცრი სანქციები“

ისევე, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე უკიდურესად მნიშვნელოვანია დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერების პრინციპულობა უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იმის მცდელობით, რომ „აღადგინოს საბჭოთა კავშირი“, უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში „ცდის დასავლეთის ნერვების სიმტკიცეს“.

პარლამენტარს მიაჩნია, რომ პუტინის ერთ-ერთი ასეთი „ტესტი“ იყო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში. მიუხედავად ამისა, დარჩიაშვილი აღიარებს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დასაწყისში სწორედ დასავლელმა ლიდერებმა „გადაარჩინეს“ საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

„საიდუმლო როდია, რომ მაშინ რუსეთის ტანკებს ჰქონდათ დავალება აეღოთ თბილისი, თავად პუტინიც ამბობდა, რომ აუცილებელია შეიცვალოს საქართველოს მთავრობა, მაგრამ მან ვერ შეძლო ამის გაკეთება სწორედ დასავლეთის ჩარევის გამო. ევროკავშირის სახელით მოქმედ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად ამ საქმეში უზარმაზარი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო ფლოტი მიემართება საქართველოს სანაპიროებისკენ“, — შეგვახსენა დეპუტატმა ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში.

მიუხედავად ამისა, დარჩიაშვილის სიტყვებით, თავდაპირველი აქტივობის შემდეგ საქართველოში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, დასავლეთი თანდათანობით გახდა „პასიური“ და შემოიფარგლა მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით, რომლებიც გმობენ იმას, რომ რუსეთი უარს აცხადებს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია შეთანხმებაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. კერძოდ, საკითხი შეეხება რუსეთის ჯარების დაბრუნებას იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტომდე, აგრეთვე ვალდებულება ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო მეთვალყურეების შეშვების შესახებ.

„იმედი მაქვს, საქართველოს მაგალითმა აჩვენა დასავლეთს, რომ არ შეიძლება პუტინის შეჩერება, თუ არ იქნება მიღებული მკაცრი სანქციები“, — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

„მაიდნის“ გადატანა მინსკში შეუძლებელია, ვინაიდან ლუკაშენკოს შვილები არ არიან ბიზნესმენები, განაცხადეს ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროში

კიევში სიტუაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კორუფცია, დარწმუნებული არიან ბელარუსში. მაგრამ ასეთი რამ მათთან არაა: „ჩვენს პრეზიდენტს ანგარიშები უცხოეთში არ აქვს“, და „პრეზიდენტი, უბრალოდ, ვერ იტანს ამგვარ რამეს, როდესაც ჩინოვნიკობა ცდილობს შეესისხლხორცოს ბიზნესს“.

* * *

აშშ ფინანსებს სამხედრო კონტაქტებს, დიალოგს ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე რუსეთთან

პენტაგონის „სანქციები მოიცავენ ერთობლივი სწავლების, ორმხრივი შეხვედრების გამართვას, სამხედრო-საზღვაო დელეგაციების გაცვლასა და კონფერენციების დაგეგმვას. იქ უარყვეს მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა გაგზავნოს თავისი სამხედრო ხომალდები რეგიონში.

* * *

რუსეთის ფედერაცია გაეროში: იანუკოვიჩი სთხოვდა პუტინს აემოქმედებინა რუსეთის ჯარები უკრაინაში

ასე განაცხადა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა უშიშროების საბჭოს ღია სხდომაზე. მან უშიშროების საბჭოს წევრებს წაუკითხა იანუკოვიჩის შესაბამისი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1 მარტით. ჩურკინმა ასევე უჩვენა უშიშროების საბჭოს წევრებს იანუკოვიჩის მიმართვის ორიგინალის ფოტოასლი.

* * *

გაეროსთან უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა დაიცვა „ბენდერელები“ და ბრალი დასდო სსრ კავშირს ფალსიფიკაციებში

იური სერგეევმა განაცხადა, რომ სსრ კავშირმა მოახდინა უკრაინის ნაციონალისტური მოძრაობის იდეოლოგის წინააღმდეგ ბრალდების ფალსიფიკაცია ნიურნბერგის პროცესზე. დიპლომატმა აგრეთვე ითხოვა არ განაზოგადონ თანამედროვე უკრაინის სურათი, ვინაიდან მილიონობით უკრაინელი დასავლეთში —„ნორმალური ევროპული მოქალაქეები არიან“.

◎ მაშინ და ახლა

დანაშაული და მსუბუქი სასჯელი

„4 ძილა კომპოტის ქურდობას პირს 2 ან 4 ეპიზოდად უთვლიდნენ და ცალკ ცალკე გამოჰქონდათ განაჩენი, შემდეგ სასჯელს უპირობოდ კრებდნენ და საბოლოოდ ვიღებდით სურათს, როდესაც კომპოტის ქილების ქურდი 17–18 წლით აღმოჩნდებოდა ხოლმე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“, – აცხადებს for.ge-სთან „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა კახიშვილი. იგი ამ შემთხვევაში ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის პერიოდზე საუბრობს, როცა მმართველმა პარტიამ სასჯელის უპირობო შეკრებითობის პრინციპი შემოიღო.

რამდენს „აიკიდებდა“ მერაბიშვილი, მისი დროინდელი კანონებით რომ გაესამართლებინათ?

დღეს, როდესაც სასამართლოს წინაშე „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი წარსდგა, კანონის ეს ნორმა აღარ მოქმედებს და სასჯელის შეკრებითობა მხოლოდ მოსამართლის დისკრეციულ უფლებად მიიჩნევა. შედარებით ლიბერალურ კანონთან ერთად ასევე მოქმედებს „ამნისტიის შესახებ კანონი“, რომელიც სხვადასხვა ფორმით, უვადო პატიმრობამისჯილი პირების გარდა, პრაქტიკულად, ყველა ბრალდებულს და მსჯავრდებულს ეხება, ვინც ბრალად შერაცხული დანაშაული 2012 წლის 2 ოქტომბრამდე, ანუ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამდე ჩაიდინა.

სწორედ, ზემოთ აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით დაითვალა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის სასჯელის ზომა. ვანო მერაბიშვილის საქმე რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით განხილულიყო, ყველა იმ ბრალით, რომელიც ინკრიმინირებული ჰქონდა და რომელშიც სასამართლომ სცნო დამნაშავედ, მოსამართლე, სასჯელის უპირობო შეკრების პრინციპის გამოყენებით, ერთობლიობაში მას 19 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას განუსაზღვრავდა. დღეს მოქმედი კანონის საფუძველზე კი, 10-წლიანმა უმაღლესმა სასჯელმა ყველა სხვა მცირე სასჯელი შთანთქა. რადგან გაფლანგვის მუხლი ამნისტირებულია და სასჯელის ვადა ექვემდებარება განახევრებას, ქუთაისის საქალაქოს სასამართლოს განაჩენით, საბოლოოდ, მას სასჯელის მოხდა 5 წლის ვადით მოუწევს.

ე.წ. „26 მაისის ეპიზოდზე“ კი თბილისის საქალაქო სასამართლომ მერაბიშვილს 6 წელი მიუსაჯა, რაც ამნისტიის კანონის საფუძველზე 4 წელსა და 6 თვემდე შემცირდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილისთვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი შეუსაბამოა.

„მას ედავებიან ძალიან მძიმე დანაშაულების ჩადენას რამდენიმე სხვადასხვა საქმეზე, ვფიქრობ, სასამართლოს განაჩენი არ არის ადეკვატური იმ სასჯელთან შედარებით, რასაც თავად ვანო მერაბიშვილის დავალებით უსჯიდნენ ხოლმე ადამიანებს. მაგალითად, ლევან გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ პირადი ინტერესი ამოძრავებდა როგორც ვანო მერაბიშვილს, ისე მის მეგობრებს, რადგან გოგიჩაიშვილი 2006 წლიდან მოყოლებული საპროტესტო აქციების ორგანიზატორი იყო. მას ჩაუდენელი დანაშაულისთვის განუსაზღვრელი წლები მისცეს, ხოლო ვანო მერაბიშვილს, სავარაუდოდ, 5 წლის გატარება მოუწევს საპატიმროში“, – განუცხადა for.ge-ს ლევან ჩიტაძემ.

უფლებადამცველი ფიქრობს, რომ სასჯელის შეკრებითობა უნდა გაუქმებულიყო, თუმცა, უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ დანაშაულზე ეს პრინციპი არ გავრცელდებოდა და, შესაბამისად, მოსამართლე განაჩენის გამოტანის დროს ძველი პრინციპით მიიღებდა გადაწყვეტილებას.

„ეს იქნებოდა უფრო რეალური სამართლიანობის აღდგენა, ვანო მერაბიშვილს ამ შემთხვევაში უკვე ნამდვილად მოუწევდა სასჯელის მოხდა შეკრებითობის პრინციპით და საკმაოდ დიდ დროს გაატარებდა ციხეში. ძალიან ცუდია, როცა უფლებადამცველი საუბრობს იმაზე, რომ ადამიანი ციხეში დიდი ხნით უნდა იჯდეს, მაგრამ დანაშაულებზე, რომლებიც წლების განმავლობაში ხდებოდა, სასჯელი ადეკვატური უნდა იყოს“, – აცხადებს ლევან ჩიტაძე.

კახა კახიშვილი კი განმარტავს, რომ ვანო მერაბიშვილის განაჩენთან დაკავშირებით სასამართლოსგან სხვაგვარი მოლოდინი არ ჰქონდა და არც გირგვლიანის საკითხზე არის მოსალოდნელი რამე განსაკუთრებული შედეგი. მისი ვარაუდით, ვანო მერაბიშვილისთვის, თავდაპირველად, გაფლანგვის საქმეზე ბრალის წაყენება პროკურატურის ერთგვარი სტრატეგია იყო.

„შესანიშნავად იცოდნენ, რომ გაფლანგვის მუხლი არის ამნისტირებული და პირველი საქმე წარიმართა გაფლანგვის მუხლით. სასამართლოში მერაბიშვილის წინააღმდეგ განხილულ ნებისმიერი საქმეზე რომც დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, 10-წლიანი სასჯელი შთანთქავს ყველა სხვა დანარჩენს, თუ, რა თქმა უნდა, არ იქნება რომელიმე ისეთი საქმე, რომელზეც განაჩენი 10 წელზე მეტით განისაზღვრება, თუმცა, არ მგონია ეს მოხდეს დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე“, – განუცხადა for.ge-ს კახა კახიშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი კი განმარტავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სასჯელის ათვლა უკვე დაწყებულია, თუმცა, რომელი სასჯელის და რა ვადით მოხდა მოუწევს მას, მხოლოდ სასამართლოს მესამე ინსტანციაში გამოტანილი განაჩენების შემდეგ გაირკვევა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ ვანო მერაბიშვილს მიუსაჯა 4 წელი და 6 თვე, ქუთაისის სასამართლომ – 5 წელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სასჯელები იკრიბება. დღეის მდგომარეობით უკვე დაწყებულია სასჯელის მოხდის ათვლა, მაგრამ როდესაც უზენაეს სასამართლოებს მოივლის ყველა განაჩენი, ამის შემდეგ ხდება მისი ახლიდან შთანთქმა, ნაწილობრივი, ან სრული შეკრება. ყველა განაჩენი ახლიდან უნდა გაიგზავნოს სასამართლოში, რომ გაერთიანდეს და მოხვდეს ერთ განაჩენში. ვიდრე სამივე ინსტანციაში ყველა ბრალდების განაჩენზე არ დასრულდება დავა, არ გვეცოდინება, რომელი განაჩენის აღსრულება ხდება. მოსამართლეს აქვს უფლება გამოიყენოს შთანთქმის, ნაწილობრივ, ან სრულად შეკრების პრინციპი, მაგრამ, რადგან ამ შემთხვევაში საუბარია ნაკლებად მძიმე, მძიმე და ერთ განსაკუთრებით მძიმე მუხლზე, არ მოხდება სრული შეკრება. ანუ, სავარაუდოდ, იქნება შთანთქმა, პრაქტიკა ასეთია, ყოველ შემთხვევაში“, – განუცხადა for.ge-ს გიორგი ჩივიაშვილმა.

კახა კახიშვილი ვარაუდობს, რომ **ვანო მერაბიშვილს, საბოლოოდ, 5-წლიანი პატიმრობა მოუწევს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სასჯელს ბოლომდე მოიხდის და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ან შეწყალება არ შეეხება.**

მადლენა მაჭარაშვილი

◎ პატივგება

მადლიერების საღამო

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის და ტურიზმის აკადემიის სააქტო დარბაზში ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდიუმისა და მექვაბიშვილების საგვარეულოს გამგეობის წარმომადგენელთა ინიციატივით მოეწყო მადლიერების საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ასოციაცია „მესხეთი – 2001“-ის პრეზიდენტმა, მექვაბიშვილების საგვარეულოს დარბაზის თავმჯდომარემ, თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, თბილისის ტურიზმის აკადემიის დირექტორმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა. მან ისაუბრა ასოციაციის მომავალ გეგმებსა და დასახულ მიზნებზე. ასევე აღნიშნა, რომ დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა ასოციაცია „მესხეთი – 2001“-ის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესორ პავლე ნარიმანიშვილს და სიტყვა მისალმებისათვის გადასცა ამავე ასოციაციის საპატიო წევრს ხვთისავარ არჩემაშვილს. მან გულთბილად ილაპარაკა პავლე ნარიმანიშვილის დამსახურებაზე, მის მიერ გამოცემულ წიგნებზე, მშობლიური მესხეთის წინსვლისა და აღორძინებისთვის გაწეულ ღვაწლზე.

საქართველოში ცნობილი მესხი ადამიანის, სოციალისტური შრომის გმირის სიმონ კაკაჩიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავის შესახებ ისაუბრა აკადემიკოსმა პეტრე ნასყიდაშვილმა.

– სიმონ კაკაჩიშვილი – თქვა მან, – მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის მოღვაწეთა იმ პლეადას, რომელთა სახელები შესულია ოქროს ფონდში. მისი წარმატებები, რასაც მიაღწიეს სოფელ ვალეში, ცნობილი გახდა მაშინდელ საბჭოთა კავშირსა და ევროპაში.

მექვაბიშვილების გვარის ღირსეული წარმომადგენლის მოსე მექვაბიშვილის ცხოვრების შესახებ ისაუბრა პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა. მან აღნიშნა ის დიდი სიკეთე, დამსახურება, რაც მოსე მექვაბიშვილმა წლების განმავლობაში გამოიჩინა...

ბოლოს, ამირან მექვაბიშვილმა მადლიერების საღამოს მონაწილე მესხებსა და მექვაბიშვილებს მიულოცა ამავე შენობაში მათი საქმიანობის ამსახველი კაბინეტის გახსნა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ნანა ბერიძე.

სურათზე: შეხვედრის დროს.

◎ თეატრი

წარმოადგენენ „ტოსკას“ და „ბალ-მასკარადს“

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი საზოგადოებას 4 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში იწვევს, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკა“.

სპექტაკლს წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო. მთავარ პარტიებს იმღერებენ: ხათუნა ჭოხონელიძე (ტოსკა), თეიმურაზ გუგუშვილი (კავარადოსი), ნიკოლოზ ლაგვილავა (სკარპია), კახაბერ თეთვაძე (ანჯელოტი), ვანო გალუაშვილი (მღვდელმსახური), იური ასლანიშვილი (სპოლეტა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (შარონე), ვანო ბუაძე (ციხის ზედამხედველი), ნათია ივანიაშვილი (მწყემსი).

6 მარტს კი, ისევ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, საკონცერტო ვერსიით აჟღერდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადი“.

ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს წარუძღვება გერმანიაში მოღვაწე ქართველი დირიჟორი დავით კინწურაშვილი. მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: არმაზ დარაშვილი (გრაფი რიკარდო), ზაალ ხელაია (რენატო), მარიამ ქობალიანი (ამელია), ელენა პუტილოვა (ულრიკა), მარიკა მაჩიტიძე (ოსკარი), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (სილვანო), ვანო გალუაშვილი (სამუელი), ტარიელ ჭიჭინაძე (ტომაზო), იური ასლანიშვილი (მსაჯული).

განცხადება

შპს „იბერკომპანი თელადა“ (ყოფილი სს „განახლებული მექანიზაცია“) 2014 წლის 24 მარტს დღის 12 სთ-ზე ატარებს პარტნიორთა საერთო კრებას.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა;
2. ძირითადი ქონების ჩამოწერა.:

პარტნიორთა დასწრება სავალდებულოა.

შპს „იბერკომპანი თელადას“ ადმინისტრაცია.
მისამართი: ძ. თელავი, აჩინეულის №1.

რეკლამა **გ. ახვლედიანის ქ. №19.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ წინ, საქართველო!

ჯვაროსანთა ნაკრები - ევროპის 12 საუკეთესოში

დამოუკიდებელი საქართველოს წყალბურთის ისტორიაში პირველად ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება დაიმსახურა — ის კონტინენტის იმ 12 უძლიერეს გუნდს შორის მოხვდა, რომლებიც წლეულს 13-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მედლებისთვის იბრძოლებენ.

სახელოვანი წყალბურთელის — ვლადიმერ ისელიძის შეგირდებმა შესანიშნავად გაართვეს თავი შესარჩევი ეტაპს — სამი რაუნდის შემდეგ 27 ქულით ფრანგებსა და რუსებთან ერთად კვალიფიკაციაში პირველ სამეულში მოხვდნენ. პლეიოფის წილისყრამ თურქეთის საკმაოდ ძლიერი ნაკრები შეგვახვედრა. ჩვენი სამხრეთელი მეზობლები ბოლო ორი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილენი არიან. მესამედაც რომ ძალიან უნდოდათ იქ მოხვედრა, იქიდანაც ჩანს, რომ ნაკრების თავკაცად ხორვატ სპეციალისტს უხმეს, გუნდი კი რამდენიმე ნატურალიზებული წყალბურთელით გააძლიერეს. საქართველო-თურქეთის პირველი შეხვედრა, როგორც გულშემატკივრებმა იციან, თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 8:4. წყალბურთში 4-ბურთიანი სხვაობა განმეორებითი მატჩის წინ ბევრს არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, თუ მეტოქე შინ თამაშობს და თანაც მოწინააღმდეგედ თურქეთის ნაკრები გყავს. გულშემატკივრებმა სტამბოლური ბატალიები ტელეეკრანზე იხილეს, ამიტომ ამ ორთაბრძოლის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პაექრობა ჩვენთვის სასურველი სცენარით დაიწყო — პირველ ოთხ წუთში მარკო ელაჩას და მარინო ფრანიჩევიჩის გოლებით სტუმრები დაწინაურდნენ. მასპინძლებმა მე-5 წუთზე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს. პირველი მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა 3:2 მოიგო. ეს ერთბურთიანი სხვაობა პირველი ტაიმის ბოლომდე შევინარჩუნეთ. შესვენების შემდეგ თურქები გააქტიურდნენ და არა მარტო წონასწორობა აღადგინეს, არამედ ბოლო მეოთხედის წინ 2 ბურთითაც გავიდნენ წინ — 9:7. ბოლო რვაწუთიანი მონაკვეთიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ისელიძის შეგირდებმა მეტოქეს მატჩის საბოლოოდ მხოლოდ სამი ბურთის სხვაობით მოგების (12:9) საშუალება მისცეს, ამან კი ორი პაექრობის ჯამში ქართველებს ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზური მოუტანა. საქართველოს ნაკრებმა სტამბოლში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზურაბ ჭუმბურიძე (მეკარე), გიორგი ხვედელიანი, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი (2 გოლი), გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა (5), რევაზ ჩომახიძე (1), ზურაბ რურუა, ტატო გეგელაშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი (1), კონსტანტინე ნიკოლეიშვილი, ბექა კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

უნგრეთის დედაქალაქში დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლება ადრევე ჰქონდათ დაბეებული მასპინძლებს, სერბებს, ჩერნოგორიელებს, იტალიელებს, გერმანელებსა და ბერძნებს. პლეი ოფის შედეგებით ქართველებთან ერთად მათ კიდევ ხუთი გუნდი შეუერთდა: ხორვატეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, რუმინეთი და რუსეთი, რომელთა საპლეიოფო მატჩები ასე დამთავრდა: ხორვატეთი-სლოვაკეთი 14:6 (პირველი შეხვედრა 16:8), მალტა-საფრანგეთი 6:20 (8:20), ესპანეთი-უკრაინა 25:6 (17:5), დიდი ბრიტანეთი-რუმინეთი 8:18 (7:18), რუსეთი-ჰოლანდია 12:10 (11:9).

ლექსო ცინცაძე

◎ ☀ უკვდავება

„რამაზ შენგელია“ — წიგნის პრეზენტაცია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ გუშინ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ინიციატივით დაბეჭდილი წიგნის — „რამაზ შენგელია“ — პრეზენტაციას უმასპინძლა. სახელგანთქმული ქართველი თავდამსხმელი 2012 წლის 21 ივნისს 55 წლისა გარდაიცვალა.

„რამაზ შენგელია ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი თავდამსხმელი იყო. მე წილად მხვდა ბედნიერება, პირადად გამეცნო ბატონი რამაზი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არანაკლებ ბრწყინვალე ადამიანი იყო მწვანე მინდორს მიღმა. მიხარია, რომ ბატონი რამაზისადმი მიძღვნილი წიგნი ასეთი კარგი გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ის ყველა გულშემატკივრის ბიბლიოთეკაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს“, — განაცხადა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.

„რამდენადაც აგრესიული და შემტევი იყო მოედანზე, იმდენად თავმდაბალი გახლდათ მინდორს მიღმა. მის მხარდამხარ თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო“,— ეს უკვე ვლადიმერ გუცაევის სიტყვებია.

„რამაზ შენგელია შესანიშნავი ადამიანი გახლდათ. ამ წიგნზე მუშაობა მთელი გუნდისთვის უდიდესი სიამოვნება იყო“, — განაცხადა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემ.

სახელოვანი ფორვარდი თბილისის „დინამოს“ ვეტერანებმა ოთარ გაბელიამ, თენგიზ სულაქველიძემ, ნოდარ ხიზანიშვილმა, სერგო კუტივაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექს-პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, ოჯახის წევრებმა, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა გაიხსენეს.

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა წლებში ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები და ჩანახატები. იგი უხვადაა ილუსტრირებული, მათ შორის ფეხბურთელის პირად არქივში დაცული ფოტოებით. წიგნის შემდგენელია სპორტული ჟურნალისტი ლაშა გოდუაძე.

* * *

გუშინვე მიხეილ კაკაბაძის, ნოდარ გუგუშვილისა და კოტე მახარაძის სახელობის ყოველწლიური პრემიებით დაჯილდოვდნენ ჩვენი კოლეგები ელგუჯა ბერიშვილი, რატი შელეგია, ჯამლეტ ხუხაშვილი, ლევან ჯანეზაშვილი, ვაჟა სიმონიშვილი, ბიძინა ბარათაშვილი და თენგიზ პაჭკორია. ვულოცავთ!

გიორგი შოთაძე

◎ ☀ ჭიდაობა

„ოქროს დიდ პრიზზე“ ოქრო არ გვერგო

სომბათჰეიში (უნგრეთი) დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი „ოქროს დიდ პრიზზე,“ რომელშიც ქართველმა ფალავნებმა 6 მედალი დაიმსახურეს, მაგრამ მათ შორის არც ერთი უმაღლესი სინჯისა არ აღმოჩნდა: სამი ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო — ასეთია ჩვენებურთა მონაგარი. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ საჩინო დავითაია (66), მანუჩარ ცხადაია (71) და რობერტ ქობლიაშვილი (85), ხოლო მინდია წულუკიძე (71), ვლადიმერ გეგეშიძე (85) და ზურაბ დათუნაშვილი (75) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

დავითაიამ პირველ წრეში პოლონელი დავით კოზეცნიცკი დაამარცხა (8:0), მერე ნორვეგიელ მარიუს ტომესენს აჯობა — 7:4, აზერბაიჯანელ ტალეჰ მამადოვს 10:1 სძლია, ნახევარფინალში ხორვატი დომინიკ ეტლინგერი ჩამოიშორა გზიდან (8:0), რომელმაც მესამე წრეში ევროპის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რევაზ ლაშხი დაგვიმარცხა. ფინალში დავითაია სერბ ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსან დავორ სტეპანეკთან 4:0 დაწინაურდა. ეტყობა, მან ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და საბოლოოდ 6:7 დათმო ორთაბრძოლა. ქობლიაშვილმაც ფინალამდე შეუუფერხებლად იჭიდავა, იქ კი ირანელ ტალებ ნემატპოურთან წააგო. მასპინძელთა ლიდერთან, გადამწყვეტ პაექრობაში ოლიმპიადის ვიცე და ევროპის ჩემპიონ ტომაშ ლორენცთან ვერაფერს გახდა ცხადაია და ისიც ვერცხლის მედალს დაყაბულდა. ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა კი ზემოთ გაუწყეთ.

გივი გაგუა

◎ ☀ ჩოგბურთი

ქართველებმა ანტალიაში გაილაღეს

თურქეთის ზღვისპირა კურორტ ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან ტურნირში შესანიშნავად ითამაშეს თბილისელებმა — ეკატერინე გორგოძემ და სოფიო ქვაცაბაიამ. ასპარეზობის მესამე ნომერმა გორგოძემ მეოთხედფინალში რუმინელ ქრისტინა ადამესკუს აჯობა 6:1, 6:0, ნახევარფინალში კი მისი თანამემამულე ნიკოლეტა-კატალინა დასკალუ დაჯაბნა — 6:1, 6:1. ქვაცაბაიამ ბოლო ორ ტურში მაკედონიელი ლინა ჯორჩესკა (6:4, 6:4) და მეშვიდე ნომერი ჩინელი ლინ ჟუ (6:2, 6:0) ჩამოიშორა გზიდან. ფინალში სწორედ ჩვენებურები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი ხელი გორგოძემ მოიგო 6:2, მაგრამ მომდევნო ორი დათმო — 0:6, 4:6 და მთავარი პრიზი ქვაცაბაიამ მოიპოვა.

* * *

ყაზახეთში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იან ტურნირში მონაწილეობდა თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი, რომელმაც წყვილებში დენის ევსეევთან (ყაზახეთი) ერთად ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი სლოვაკები — მარეკ სემიანი და ადრიან სიკორა დაამარცხა — 7:6, 1:6, 10:7, გადამწყვეტი პაექრობა კი იარასლაუ შილას და ანდრეი ვასილევსკის (ორივე-ბელარუსი) დუეტთან წააგო — 3:6, 6:3, 10:12.

ლაშა დიდია

◎ ☀ ჭადრაკი

ჯავახიშვილმა ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნულ ჩემპიონატში 12 მანდილოსანი მონაწილეობდა წრიული სისტემით. მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა, საქართველოს ორგზის ჩემპიონმა ლელა ჯავახიშვილმა, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მესამედ ავიდა. ეროვნული ნაკრების წევრმა თერთმეტი შესაძლებლიდან 9,5 ქულით ოქროს მედალთან ერთად 5.500 ლარიც დაიმსახურა.

ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედალი 8 ქულით საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა ნინო ხურციძემ მოიპოვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით „ბრინჯაო“ ბელა ხოტენაშვილს ხვდა. მეორე-მესამეადგილოსნებს, შესაბამისად, 4.500 და 3.500 ლარი ერგოთ.

ნატა ნიბლაძე

განახლებული რეიტინგებით

ამ დღეებში ფიდემ, ტრადიციულად, განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. გაუწყებთ ქალთა და ვაჟთა პირველი ათეულებისა და ქართველი მოჭადრაკეების საკლასიფიკაციო მდგომარეობას:

ქალები. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2693), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2560), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2552), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2546), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543), ალექსანდრა კოსტენიუკი (2527), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2524), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2520), 11. ბელა ხოტენაშვილი (2518), 34. ნინო ხურციძე (2456), 36. ლელა ჯავახიშვილი (2453), 37. სალომე მელია (2453), 54. ნინო ბაციაშვილი (2421), 67. სოფიკო გურამიშვილი (2400), 78. მერი არაბიძე (2383), 86. თამარ წერეთელი (2375), 89. სოფიკო ხუხაშვილი (2374), 92. მაია ლომინეიშვილი (2366).

ვაჟები. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2881), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2830), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2787), ვესელინ ტოპალოვი (2785), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2783), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2777), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2772), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2770), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2766), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2758)... 32. ბაადურ ჯობავა (2716).

ვაჟა ნოსირელი

◎ გზადაგზა ნაპოვნი სურათები

„დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა!...“

წიგნების გამყიდველი შორიახლო ჩამომჯდარა, გაზეთის კითხვით გაჰყავს დრო, იქვე აკურატულად დალაგებულ წიგნებს კი არავინ ეკარება, ზედაც არავინ უყურებს... აი, მიხა ხელაშვილის ლექსების კრებული. ორი-სამი წელია, რაც მკითხველი ახლოს გაეცნო ამ უნიჭიერესი კაცის შემოქმედებას... ისე, რად უნდა ლაპარაკი, რომ მიხა ხელაშვილი, უპირველესად, ბრწყინვალე ლექსმა დედაზე გააცნო დიდ-პატარას...

...კინაღამ ჭკუიდან გადავდექი, პირველად დაუვიწყარი ზურაბ ქაფიანიძისგან რომ მოვისმინე:

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმადა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა!“

...ჩვენთვის ვიჯექით რამდენიმე კაცი, მშობლების სადღეგრძელოზე დააბუხუნა ზურიკომ... ვთხოვე, მიკარნახა და იქვე ჩავიწერე.

ქართულ პოეზიაში უამრავი ლექსი ეძღვნება დედას, სხვადასხვა დონისაა ეს ლექსები, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენს უძვირფასეს ადამიანს, ჩვენს მშობელ დედას ხომ ეძღვნება?

მიხა ხელაშვილისა, ჩემი აზრით, შედევრია!

„ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,
ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა?
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირებსა?
ამასა ვფიქრობ და გულიც
ამასვე ანამდვილებსა,
დედის მეტს, ჩემი სიკვდილი,
არავის აატირებსა“.

...ჩემგან ამის გამგონე, მალულად ამოიმშრალებდა ხოლმე ცრემლებს თვალებიდან ჩემი საბრალო დედა, 59 წლისა რომ წავიდა ამ ქვეყნიდან...

მაშ, დედის გულის სითბო დავლოცოთ, ხალხო!

„და რა ქალი — ხელისგულზე სატარები“

კიდეც რომ ყოფილიყო, ვინ გამოუშვებდა ამდენ მათხოვარს ქუჩაში? საბჭოთა სისტემას თავისი წესი და რიგი ჰქონდა. მით უმეტეს, რუსთაველის გამზირზე ვინ მისცემდა მათ ზევით-ქვევით „ნავარდის“ უფლებას?! ახლა, იცოცხლეთ, „ნავარდობენ“, მოქალაქეებს ნერვებს უშლიან, შეიძლება ითქვას, ჩანთებში უძვრებიან ბოშა გოგობიჭები, იქვე კი, უფროსი ასაკის ბოშა ქალები, მკითხაობის რეკლამით, ათასგვარი ოცნების ასრულებას უწინასწარმეტყველებენ ყველას, ვინც კი მათ გაუჩერდება.

ამ მკითხავებს შორის ერთ-ერთი ისეთი აშოლტილი და თვალებბრიალა ახალგაზრდა ქალი დგას, შეიძლება, უცებ „ავმა“ აზრმაც კი გაგიელვოს თავში. მე, პირადად, პირველად რომ დავინახე, უმალ ძვირფასი ანა კალანდაძის ლექსში უზადოდ დახატული ბოშა ქალი გამახსენდა:

„და, რა ქალი — ხელისგულზე სატარები,
რა თვალები — ელვის ცეცხლის დამჭერი,
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები,
შეხედეს და შეუკურთხეს გამჩენი “.

გახსოვთ, არა? გენიალურია!

სხვათა შორის, შევესწარი, ამ ბოშა ქალს ერთი ციცქნა ბოშა გოგონა ხურდებს რომ აწვდიდა: „აჰა, დედა, ჩაიყარე!“

გამოართვა ბოშა ქალმა, თავზე ხელი გადაუსვა გოგონას და თავისი საქმე — მკითხაობის რეკლამა განაგრძო.

თეა წულუკიანი მხატვარ ილია პატაშურს იუსტიციის სამინისტროში იწვევს

ამ რამდენიმე თვის წინათ ილია პატაშურმა პირდაპირ აღაფრთოვანა დამთვალიერებელი რუსთაველის გამზირზე მდებარე ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი ფერწერული ნამუშევრებით. განა, აღმოჩენა იყო?.. მხატვარი ილია პატაშური კარგად არის ცნობილი სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის. უბრალოდ, რუსთაველის გამზირზე ჩვენ უპირველესად აღგვაფრთოვანა მხატვრის ამოუწურავმა ფანტაზიამ და ფერთა შეუდარებელმა სიკისკასემ.

ნახეთ, წერს თავის დროზე **ელგუჯა ამაშუკელი: „ილია პატაშური არის, მართლაც, საოცარი მოვლენა, რადგან იმ შინაგან ხმას, იმ თვითმყოფადობას, რომელიც უზენაესმა მას მიანიჭა, თან ერთვის შრომისმოყვარეობაც, მხატვარი ამ ყველაფრით იქცა ჭეშმარიტ, ნამდვილ შემოქმედად, დიდ შემოქმედად“.**

ჰოდა, აი, ამჯერად აღმაშენებლის გამზირზე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ილია პატაშურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ვერნისაჟზე მხატვარს გულთბილად მიესალმნენ — პოეტი ნანა ცინცაძე, მხატვარი, პარლამენტარი დემურ ბაშელეიშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, კინომცოდნე გოგი დოლიძე, არქიტექტორები გიგა ბათიაშვილი, ვახტანგ დავითაია და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ილია პატაშურის მხატვრობით აღფრთოვანებულმა ქალბატონმა თეა წულუკიანმა ისიც კი თქვა, ჩვენ მზად ვართ, იუსტიციის სამინისტროს საგამოფენო დარბაზში ვუმასპინძლოთ ილია პატაშურის შემოქმედებასო...

მაგარია პატაშური!

ასტროპროგნოზის იმედად...

ისევ გაზეთ „ახალი თაობის“ მე-12 გვერდს ჩაჰყურებს ბესო, პირდაპირ გვაგიჟებს უბნელებს მისი ოპტიმიზმი — დღეს იქნება თუ ხვალ ასტროპროგნოზი გამიმართლებს და დანარჩენიც მერე იცინეთო. ჰოდა, რახან „ახალი თაობა“, თანაც იაფია და, თანაც ყოველდღე ასტროპროგნოზს აქვეყნებს, ბესოსაც მეტი რა უნდა? აბა, ვნახოთ, „ღრიანკალს“ („მორიელს“) რა ელოდება დღეს? „დღეს დიდ ფულს მიიღებ, ვალებს გაისტუმრებ“. სიამოვნებისგან იშმუშნება ბესარიონი. კი, მართალია, ასეთი იმედისმომცემი სტრიქონი ბარეორჯერ წაუკითხავს „ღრიანკალის“ გასწვრივ: „ფულიან სამსახურს იშოვნი“, „ხვალიდან პრობლემები აღარ გექნებათ“ და ასე შემდეგ, რაც, ჯერჯერობით, არ ასრულებია, მაგრამ იმედიანად ყოფნას რა სჯობს? ჰოდა, რას გვიშლის, იყოს ბესოც ასტროპროგნოზის იმედად.

ვილენ მარდალეიშვილი

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნაირა ძიძიგურს შვილის

შალვა (ბაჩა) ქავთარაძის

გარდაცვალების გამო.

შპს „გზაპროექტის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ღვაწლმოსილი მეგზევე-ინჟინერი და შესანიშნავი მამულიშვილი

ელდარ (ლერი) ხუცაიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ობოლი და მიუსაფარი ბავშვების დახმარება მიისაკუთრეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ჩადენის ფაქტზე ლია მარგიშვილი დააკავეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „სამარიტანს პურსე“ საქართველოში მცხოვრები ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისათვის უსასყიდლოდ დასარიგებლად, ყოველწლიურად აგზავნის ჰუმანიტარულ საჩუქრებს, რომლის მიღებაც და უსასყიდლოდ განაწილება ხელშეკრულების საფუძველზე ევალება საქართველოში რეგისტრირებული ააიპ „კეთილი სამარიელი საქართველოში“ თავმჯდომარეს მერაბ ორაგველიძეს.

უწყების ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა, რომ მერაბ ორაგველიძემ ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისათვის დასარიგებელი ტვირთი გადასცა მოქალაქე ლია მარგიშვილს, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, ახდენდა აღნიშნული ტვირთის რეალიზაციას სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე.

განცხადება აუქციონის შესახებ

შპს ენგურჰესი (იურიდიული მისამართი — ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8, III სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რაიონი, სოფ. საბერიო) აცხადებს აუქციონს ფერადი ლითონის ჯართის რეალიზების მიზნით.

სტატორის გრაგნილის გამონაცვალი ღეროები

— სიგრძე მერყეობს 3,65 მეტრიდან 3,80 მეტრამდე;

— ერთი ცალი ღეროს სავარაუდო წონა, სპეციზოლაციით 37 კგ-ს ფარგლებშია

— ერთი ცალი ღეროს სავარაუდო წონა, იზოლაციის გარეშე 27 კგ-ს ფარგლებშია

— საერთო რაოდენობა — 432 (ოთხასოცდათორმეტი) ცალი;

— საერთო სავ. წონა (ბრუტო) 15984 (თხუთმეტიათასცხრაასოთხმოცდაოთხი) კგ.

— სპილენძის სავარაუდო წონა (ნეტო) 11664 (თერთმეტიათასექვსასსამოცდაოთხი)კგ

— ერთი კილოგრამის საბაზრო ფასი შეადგენს 9 ლარს. იზოლაციიდან მისი გაწმენდა შრომატევადი სამუშაოა, რაც მიღებულ იქნა მხედველობაში და ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილია ერთი კგ-ს საწყისი სარეალიზაციო ფასი 8,55 ლარი; (ექსპერტიზის დასკვნა №5003862613 20.09.2013 წ.)

— ჯართის მთლიანი საწყისი საორიენტაციო ღირებულება 99727 ლარი;

— სავაჭრო ბიჯი 1000 (ერთიათასი) ლარი.

—წინასწარი შესატანი „ბე“ — 10000 (ათიათასი) ლარი

— გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

მყიდველსა და გამყიდველს შორის საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ტვირთის საკონტროლო აწონვის შემდეგ, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ზედმეტად გადახდილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს, ხოლო ნაკლებობის შემთხვევაში, თანხა მითითებულ ვადაში უნდა დაიფაროს.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას 20 (ოცი) ლარის ოდენობით, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს ენგურჰესის საბანკო ანგარიშზე, ან შპს ენგურჰესის სალაროში (საბერიო) შემდგომ, განაცხადსა და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს წარუდგენს რეგისტრატორს, რის შემდეგ ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზაციო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები — შპს ენგურჰესი, სს „პროკრედიტბანკის ზუგდიდის ან ნებისმიერ სხვა ფილიალში. ანგარიშსწორების ანგარიში 301467126, საიდენტიფიკაციო კოდი 251716371, ან შპს ენგურჰესის სალაროში (საბერიო).

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მეორე სართული, შპს ენგურჰესის ოფისი და შპს ენგურჰესის დირექციის შენობის მე-3 სართული (საბერიო). განაცხადების მიღების ვადაა 2014 წლის 24 თებერვლის 10 საათიდან 10 მარტის 13 საათამდე, ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 10 მარტს 14 საათზე მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გაფორმოს შპს ენგურჰესთან შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი შეგიძლიათ მიიღოთ — ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული, შპს ენგურჰესის ოფისი და შპს ენგურჰესის დირექციის შენობის მე-3 სართულზე (საბერიო).

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— ფიზიკური პირის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

— იურიდიული პირისთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით;

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა;

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90, მეორე სართული, შპს ენგურჰესის ოფისი. საკონტაქტო ტელ. 595 227050, 0415 — 228816.

◎ ჩვენი კარაბადინი

მარტივი რჩევები

ცხოვრების წესში მცირე ცვლილებებიც კი კარგ გავლენას ახდენენ ფეხმძიმობის მიმდინარეობაზე, ამბობენ მკვლევრები დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან და ახალი ზელანდიიდან.

მათ ანალიზი გაუკეთეს 5628 ჯანსაღი ქალის ერთი ერთნაყოფიანი ფეხმძიმობის მონაცემებს. მათი ნაწილი ცხოვრობდა ავსტრალიაში, ნაწილი – დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. გართულების გარეშე ფეხმძიმობა მიმდინარეობდა ქალების 61 პროცენტში. ყველაზე რთული გართულებები იყო: ფეხმძიმეთა მაღალი არტერიული წნევა, ნაადრევი სპონტანური შობადობა და ახალშობილთა ძალიან მცირე წონა.

ამ მაჩვენებლების ნორმის შენარჩუნებისთვის საკმარისია დავიცვათ სპეციალისტების რეკომენდაციები, შევასრულოთ სპეციალური ტანვარჯიში ფეხმძიმეებისთვის, მივირთვათ მეტი ხილი და ბოსტნეული, შევამციროთ ყავის მოხმარება და მეტი დრო გავატაროთ სუფთა ჰაერზე.

კოშმარები გარდაუვალია

კოშმარული სიზმრები ეხმარება ჩვენს ნერვულ სისტემას თავი გაართვას ნეგატიურ ემოციებსა და განცდებს, მიაჩნიათ ამერიკელ ფსიქოლოგებს.

ჩვენი ტვინი ყოველდღიურად ამუშავებს ინფორმაციის ტერაბაიტებს და ფსიქიკა განიცდის სტრესს, რომელსაც ყოველთვის ვერ უმკლავდება. ცუდი სიზმრები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ სტრესის ნიველირების პროცესში მოხდა გარღვევა.

ღამის კოშმარები – ნორმალური მოვლენაა. ადამიანების დაახლოებით 85 პროცენტი ხედავს კოშმარულ სიზმრებს, თუნდაც წელიწადში ერთხელ. ჩვენი სიზმრების უმრავლესობას ვერ უწოდებ მხიარულს, ხშირად სიზმარში ჩვენ ვწყვეტთ რაღაც საკითხებს, გავრბივართ ან ვართ დაძაბულობაში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სანამ ჩვენ გვძინავს, ხდება ფსიქიკის ემოციური რეგულაცია და სწორედ იგი არის ძილის სწრაფი ფაზის მიზეზი.

კოშმარული სიზმრები ხდება პრობლემა, როდესაც იწყებენ გავლენის მოხდენას ადამიანის დღის განწყობილებაზე. თუ ცუდი სიზმრის შემდეგ გეშინიათ, გაიხსენეთ თქვენი ღამის კოშმარი, უამბეთ იგი ვინმეს ან დაწერეთ ქაღალდზე, სიზმრის სიუჯეტი შეგნებულად შეცვალეთ დადებითად.

უსუნეთ ხილს

ხილისა და ბოსტნეულის სუნი ამცირებს მადას. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები ლიდსის უნივერსიტეტიდან. მათ დაადგინეს, რომ როდესაც გრძნობთ კიტრის ან ვაშლის სურნელს, ტვინში აქტიურდება განსაკუთრებული ნაკვეთები, და შედეგად შეჭმულის ოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. მაგალითად, ფორთოხლის არომატი 50 პროცენტით ამცირებს მიდრეკილებას შოკოლადისკენ. სასარგებლოა ბოსტნეულისა და ხილის დანახვაც. იგი გვახსენებს ჯანსაღ კვებაზე, ადამიანში აძლიერებს თვითკონტროლს და გვეხმარება, უარი ვთქვათ მავნე კვებაზე.

ჩაი სიმსუქნის წინააღმდეგ

მწვანე ჩაის აქვს უნარი, შეანელოს წონის მატება და დაგვეხმაროს თავიდან ავიცილოთ სიმსუქნე, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტებმა მოაწყვეს გამოკვლევა თაგვებზე. ისინი კვებავდნენ თაგვების ორ ჯგუფს ცხიმების მაღალი შემცველობის საკვებით. თაგვები, რომლებიც ამის გარდა ჭამდნენ ეპიგალოკატეხინ-3-გალატ-ნივთიერებას, რომელიც აღმოჩნდა მწვანე ჩაის შემადგენლობაში, იმატებენ წონაში 45 პროცენტით ნაკლებად, ვიდრე საკონტროლო ჯგუფი, რომელსაც საკვები დანამატები არ ეკუთვნოდა. გამოკვლევის შედეგებს მივყავართ დასკვნამდე, რომ, თუ ვსვამთ მწვანე ჩაის, პოტენციური სიმსუქნე იწყება გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე უმისოდ.

გულღია ადამიანები უფრო მგრძნობიარენი არიან

რაც მეტი მეგობარი ჰყავს ადამიანს, მით მეტად ესმის გარშემომყოფთა ემოციები, მიაჩნიათ ინგლისელ მეცნიერებს. მათ მოაწყვეს გამოკვლევა 27-70 წლის მოხალისეთა მონაწილეობით, რომლებსაც სთხოვეს, მოეთხროთ, თუ მეგობართა რამდენ ოდენობასთან ჰქონდათ ურთიერთობა ერთი თვის განმავლობაში. გათვალისწინებული იყო როგორც შეხვედრები მეგობრებთან, ისე მიმოწერა და სატელეფონო საუბრები.

ყოველ გამოსაცდელს ჰყავდა 10-დან 40-მდე მეგობარი. მოხალისეთა ტვინის სკანირებამ აჩვენა, რომ გულღია ადამიანების ტვინის ზოგიერთ მონაკვეთს ჰქონდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა მის სხვა მონაკვეთებთან, ვიდრე უფრო გულჩათხრობილ ადამიანთა ტვინთან. მაგალითად, ეს ეხებოდა წინა სასარტყლე ქერქს, რომელიც პასუხისმგებელია სხვა ადამიანების გაგებაზე. სასარტყლე ქერქის წყალობით ადამიანი „ითვლის“ გარშემომყოფთა ემოციებს, რაც ეხმარება მას, კვლავაც მოაწესრიგოს კავშირურთიერთობანი.

ვაშლი გულისთვის

ვაშლის მოხმარება ამცირებს ინფარქტების გაჩენის რისკს. იგი შეიცავს ვიტამინებისა და მიკროელემენტების დიდ ოდენობას, რომლებიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ საკვების გადამუშავებისა და სისხლის მიმოქცევის სისტემაზე, განწყობილებაზე, აგრეთვე შეუძლია, თავიდან აგვაცილოს ინფარქტი. ადამიანებმა, ვისაც აწუხებს სისხლძარღვთა ან გულის დაავადებანი, უნდა ჩართონ ვაშლი თავიანთ ყოველდღიურ რაციონში, მიაჩნიათ მეცნიერებს ოქსფორდის უნივერსიტეტიდან.

◎ ჩვენი პრესდაივჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ეკონომიკასთან

როგორ დაარტყამს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება საძართველოს ეკონომიკას?

როგორც ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ამბობს, ამ ყველაფერს ვნახავთ მარტის ბოლოს, როცა მნიშვნელოვნად შემცირდება გადმორიცხვები უკრაინიდანაც და რუსეთიდანაც. ეკონომიკაზე აქ საუბარი აღარც არის, აქ უკვე პოლიტიკური კრიზისია. ჩვენი მოქალაქეებისთვის, როგორც უკრაინაში, ისე რუსეთში, კარგი დღე რომ არ დგება, ეს ნათელია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ძალოვან დაპირისპირებამდე მივიდეს საქმე, თორემ ქაოსი და ფასების ზრდა მერე ნახეთ თქვენ. საქართველოსთვის ყველაზე საშინელი იქნება ამ პოლიტიკური კრიზისის მოუგვარებლობა, ვინაიდან პრაქტიკულად დაუცველები ვართ.

„ალია“

უკრაინის კრიზისმა, შესაძლოა, ნავთობპროდუქტები გააძვიროს

ნავთობი გაძვირდა როგორც ნიუ-იორკში, ასევე ლონდონში. ბაზრის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ბუნებრივი რესურსების ფასები მატებას განაგრძობს, რადგან ბაზარი უკიდურესად მგრძნობიარეა უკრაინის მოვლენების გამო. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელის ვანო მთვარელაშვილის განცხადებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა ევროპას ენერგეტიკული წყაროები გადაუკეტოს. მისი თქმით, რთული გეოპოლიტიკური ვითარება ნავთობის ფასებზე მწვავედ აისახება.

„რეზონანსი“

„ბოდიშს არ მოვიხდი!“

– აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი, – მერაბ თავაძე და გიორგი შენგელაია ითხოვენ ჩემგან ბოდიშის მოხდას. მანამ არ აუდგეთ გვერდები, სანამ მე ბოდიშს მოვიხდი. ბოდიში მათ აქვთ მოსახდელი ჩემთან. ისეთ ოჯახში, ისეთ კუთხეში ვარ გაზრდილი, სადაც ადამიანის შეურაცხყოფა უტოლდება ადამიანის სიკვდილს. პირველი არავისთვის მიმიყენებია შეურაცხყოფა და არც მივაყენებ, მაგრამ როცა აქეთ მომაყენებენ შეურაცხყოფას, პასუხს გავცემ.

მყავს ოჯახი, შვილები, სამეგობრო, სანათესაო და მათ წინაშე ვაგებ პასუხს.

ისინი ამბობენ, რომ თითქოს მე ვიყავი ჩართული და ვაკონტროლებდი „ქართულ ფილმს“. არანაირი უფლება არ მაქვს, როგორც პარლამენტარს, ეს გავაკეთო...

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ნახე, რა მაგარი ჯინსები ვიყიდე, ნალდი ფირმისაა! – ეუბნება ლამაზმანი დაქალს.

– მართლაც მაგარია! რამდენად აიღე?

– საათში 100 დოლარად. თუ შენ ჯინსებზე მეკითხები?

* * *

არჩევნებს წინ ჩვენი პოლიტიკოსები ისე ინტენსიურად იწყებენ სამშობლოს შეყვარებას, რომ ეს ჯგუფურ გაუპატიურებას უფრო წაგავს...

* * *

ნუ ნერვიულობ, ნერვული უჯრედების აღდგენა შეუძლებელია!

– გაჩუმდი! კბილებისაც, სხვათა შორის!

* * *

– რაბინოვიჩ, თქვენ საათი გაქვთ?

– რა თქმა უნდა, მაქვს.

– მერე რად არ ატარებთ?

– იცით რა, მოუხერხებელია რაღაცნაირად... ეს ქანქარაო, ეს გირებიო...

* * *

– ჩემი შეყვარებული მობილურივითაა, – ეუბნება პეტკა ძმაკაცს.

– რაო, ისეთივე პატარა, თანამედროვე და აუცილებელია?

– არა, როგორც კი ფული თავდება, არ მელაპარაკება!

– რაო, შემავალი უფასო არ არის? საშინელი ტარიფია...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24